ილია და
„საერთო ნიადაგის“ თეორია

ეძღვნება ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს

1837 – 2014

„მარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანა

მე ვარო, შენი თანამდევი უკვდავი სული!“

მკითხველს

მართალია ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის კვლევა საუკუნეზე მეტ ხანს ითვლის, მაგრამ მისი, როგორც ეროვნული იდეოლოგიის წარმოჩენა და შეფასება დღეს ფაქტიურად საწყის ეტაპზეა: მას შემდეგ, რაც ვაჟა ფშაველამ ილიას **„ჩვენი დიდი ეროვნული იდეოლოგი“** უწოდა, XX საუკუნე ისე გავიდა, მას ამ მისიის შესრულება არ ღირსებია. მაშინ ითქვა იაკობ გოგებაშვილის ეს წინასწარმეტყველური სიტყვებიც:

„იქნებ მომავალში მსოფლიოს არცერთ ერს არ დასჭირდეს თავისი გენიოსი წინაპარი ისე, როგორც ილია ჭავჭავაძე ქართველ ერს“.

დადგა დრო საქმედ ვაქციოთ ეს სიტყვები – ილია და მისი **„საერთო ნიადაგის“** თეორიის სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ–ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპები გავხადოთ ახალი საქართველოს და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის გზამკვლევი. შეფარვით საბჭოთა რეჟიმის პირობებში ეს აზრი გაატარა ივანე ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ 1938 წლის ნაშრომში – **„ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“**. შემდგომში იგი აპირებდა მთელი ციკლის შექმნას ამ მიმართებით, მაგრამ არ დასცალდა...

ამ საქმის გაგრძელებას წარმოადგენდა 1960 წელს **„თსუ ილიალოგთა კლუბის“** დაფუძნება. გამოიცა რამდენიმე ნაშრომიც, მათ შორის დისიდენტური წესით, მაგრამ ბუნებრივია ამან განსაკუთრებული იმპულსი მიიღო მხოლოდ 90–იან წლებში: ჩატარდა რამდენიმე სამეცნიერო კონფერენცია, რის შედეგადაც გამოიცა ორი ფუნდამენტალური ნაშრომი – **„ილია და საქართველო“** (1998 წ.) და თსუ სამეცნიერო კრებული – **„ქართული სახელმწიფო“** (2003 წ.).

პარადოქსიც თუ გნებავთ ისაა, რომ ე.წ. **„ნაციონალებმა“** (სინამდვილეში კი ფსევდონაციონალებმა), ჩვენს მიმართვას და თხოვნას მოგვეწყო ფართო დისკუსია ილიას **„საერთო ნიადაგის“** თეორიაზე, მის პრაქტიკულ და გამოყენებით პოლიტოლოგიურ მნიშვნელობაზე გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოებრივ მშენებლობაში, რომ იტყვიან, ყურიც არ ათხოვეს. მათ ილია შირმად და ფასადად სჭირდებოდათ მხოლოდ ...

წინამდებარე ალმანახი **„საერთო ნიადაგის“** თეორიის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. ეს თეორია გარდა ეროვნულისა, საერთაშორისო ხასიათისა და მნიშვნელობისაცაა. ილიას ყველაზე კარგად ესმოდა, რომ ისტორიულადაც და დღესაც საქართველოს მომავალი ორგანულად არის დაკავშირებული ევროპასთან. ამიტომაა რომ **„ევროპეიზმი“** ამ თეორიის ერთ–ერთი ძირითადი მახასიათებელია. ახალი საქართველოს **„ახალი ოქროვანის ხანის“** ილიას იდეალიც ამას ეფუძნება.

„ილიას გზა“ – შეიძლება ასე ეწოდოს ყოველივე ამას. მოგიწოდებთ თანამშრომლობისაკენ ყველას, ვისაც ამ გზის გწამთ. ჩვენ გვესმის, რომ ალმანახის ფორმატში **„საერთო ნიადაგის“** თეორიის და მითუმეტეს, ილიას მთელი მხატვრული, თუ პუბლიცისტური და პოლემიკური მემკვიდრეობის წარმოდგენა შეუძლებელია. ამას მხოლოდ ფრაგმენტულად თუ შევძლებთ და ამიტომ სამომავლოდ განზრახული გვაქვს მუდმივმოქმედი თემატური სემინარების ორგანიზება „საერთო ნიადაგის“ თეორიის ცალკეული პრინციპების ირგვლივ.

„ილიას კაბინეტიც“, ისე როგორც სამეცნიერო საბჭო ამიტომ ფუძნდება... ამით ჩვენ მიზნად ვისახავთ ილიას ეს თეორია მთელი ჩვენი საზოგადოების კუთვნილება გავხადოთ. ნებისმიერი თეორია პრაქტიკის გარეშე მკვდარია და ეს თეორიაც თავის დიდ საზოგადოებრივ ძალას შეიძენს მხოლოდ მაშინ, როცა იგი გამოყენებითი პოლიტოლოგიური კვლევის ობიექტი გახდება...

ივანე ჯავახიშვილი ზემოდნახსენებ ნაშრომში გულისტკივილით წერს: **„ჩვენს ხალხს ნათქვამი აქვს – კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო, და ილია ჭავჭავაძეს კარგი გამგონე არ გამოსჩენია დღემდე“.** ჩვენი თაობების ვალიც ის არის, რომ ილიას და მის მემკვიდრეობას ბოლოსდაბოლოს ასეთი **„კარგი გამგონე“** გამოუჩნდეს. სხვანაირად ვერ განხორციელდება ის დევიზი და მოწოდება, რომელიც ამ ალმანახსაც გასდევს წითელ ხაზად: **ილია მართალი – საქართველოს მომავლის გზისგამკვალავი!**

უმთავრესი კი მაინც ისაა, რომ ყველაფერ ამას მიზანმიმართული და მატერიალიზირებული სახე მივცეთ...

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ილიალოგთა კლუბი“

საჯარო ბიბლიოთეკის I კორპუსი

„ილიას კაბინეტი“

საკ. ტელ: 551 12 29 88; 555 96 55 11;

599 92 87 12; 599 50 68 11

„საერთო ნიადაგის“ თეორია:

არსი და ძირითადი პრინციპები

ზუსტად 150 წელი გავიდა, რაც **„მამათა და შვილთა ბრძოლის“** ფონზე ილიაზე პირველი პუბლიკაციები გამოჩნდა. მერე და მერე არაერთი წერილი და სტატია დაიბეჭდა მასზე და მის მემკვიდრეობაზე, მაგრამ დღემდე თითებზე ჩამოითვლება ისეთები, სადაც **„საერთო ნიადაგის“** თეორია – მისი ორ ათეულზე მეტი სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ–ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპები იყოს კვლევის საგანი. ეს დაინტერესება მხოლოდ XX – XXI საუკუნეთა მიჯნაზე ხდება. ჩვენთვის საამაყოა, რომ ამ თეორიის კვლევის სათავეებთან მოგვიწია ყოფნა გასული საუკუნის 60–იან წლებში. 50 წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ეს თეორია კვლავ გამოყენებითი პოლიტოლოგიის მიღმა დგას...

პრაქტიკა არის ჭეშმარიტების უპირველესი საზომი და ამ თვალსაზრისით დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის ბოლო 25 წელი ნათლად გვიჩვენებს: ქვეყნის საზოგადოებრივ–ეკონომიკური განვითარება, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა არასწორი გზით წარიმართა. დიახ, ფაქტებში ირეკლება ხოლმე ჭეშმარიტება და XX–XXI საუკუნეთა მიჯნაზე განვითარებული ფაქტები სწორედ ასეთ დასკვნას გვკარნახობენ...

ნებისმიერ პოლიტიკას კი, ისევე როგორც ქვეყნის მთელ საზოგადოებრივ–ეკონომიკურ განვითარებას გარკვეული იდეები განაპირობებენ უპირველესად, მათზე აგებული თეორიები და აქედანაც მხოლოდ ის დასკვნა შეიძლება გაკეთდეს, რომ ეს ყველაფერი ხელს არ უწყობდა ქვეყნის წინსვლა–განვითარებას. ამიტომაა რომ სხვა კრიზისებთან ერთად, ამ პერიოდს იდეოლოგიური კრიზისებიც ახლავს თან. აქედან დასკვნაც – გარკვეული იდეოლოგიური კორექტირება სჭირდება ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარებას, მის სტრატეგიას და ტაქტიკას...

ამის საფუძველი კი ისევ ჩვენი წარსული გამოცდილება და ისტორიაა. ეს განსაკუთრებით ბოლო ორ საუკუნეზე ითქმის. **„საერთო ნიადაგის“** თეორიაც XIX–XX საუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივ–პოლიტიკური აზროვნების განვითარების შედეგია. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივაც ხელახლაა დასაწერი და გასააზრებელი იგი, განსაკუთრებით მისი პოლიტოლოგიური განზოგადოების თვალსაზრისით.

გასული საუკუნის 90–იან წლებში მიმდინარეობდა ცხარე დისკუსია – რა იდეოლოგიურ ბაზაზე უნდა განხორციელდეს სახელმწიფოებრიობის მშენებლობა საქართველოში. უკიდურესმა ქართულმა ინდივიდუალიზმმა თავისი ფართო ასპარეზი აქაც ჰპოვა და გაჩნდა უამრავი თვალსაზრისი

მემარჯვენე კონსერვატიზმიდან დაწყებული, მემარცხენე რადიკალიზმით დამთავრებული... გვახსენდება ასეთი თვალსაზრისიც და მისი **„მეცნიერული“** დასაბუთებაც – რა საჭიროა საერთოდ იდეოლოგია, მისი პრინციპები და მათზე თავის ატკივება – მის გარეშეც იოლად გავალთ...

მართლაცდა, ყველა კითხვას აქვს არსებობის უფლება და მოდით დავსვათ ეს კითხვაც – გვჭირდება თუ არა იდეოლოგია, მითუმეტეს, ეროვნული იდეოლოგია, მაშინ, როცა სულო გულო, ამდენი თეორიები და იდეოლოგიებია დღეს მსოფლიოში?

„პირველი იყო სიტყვა!“ – უძველესი და მარადიული ჭეშმარიტებაა და ამდენად, ანტიიდეოლოგიის მიმდევრებს აქედანვე გზა მოჭრილი აქვთ – თვითონ იდეოლოგიის წინააღმდეგ მათი გალაშქრებაც ხომ გარკვეული იდეოლოგიაა?!... ახლა ვნახოთ გვჭირდება თუ არა **„ეროვნული იდეოლოგია“**?

ისტორია ჩვენი დიდი მასწავლებელია და თუ მას შევეკითხებით, უეჭველ დადებით პასუხს მივიღებთ: არ არსებობს სახელმწიფო, რომელიც საკუთარ იდეოლოგიურ საფუძველზე არ იყოს შექმნილი. აშშ – დღევანდელობის ეს უძლიერესი სახელმწიფო ფრანკლინის, ვაშინგტონის, ჯეფერსონის და სხვა **„ამერიკელ მამა–პილიგრიმთა“** იდეოლოგიამ შექმნა , ისრაელის – ებრაული სახელმწიფოს აღორძინება ჰერცელის, გირშის, ბენ–გურიონის და სიონიზმის სხვა დიდი ლიდერების იდეოლოგიამ განახორციელა...

თუ ჩვენ ისტორიასაც გადავხედავთ, **„ოქროვანი ხანის“** ძლიერი ქართული სახელმწიფოს შექმნა **„ძეგლიწერის“** და **„ქართლის ცხოვრების“** სხვა ავტორების – გიორგი ათონელის, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწის... ეროვნულმა იდეოლოგიამ განაპირობა. ილია ჭავჭავაძის „**საერთო ნიადაგის“** თეორია ამ იდეოლოგიის გაგრძელებაა ახალ ისტორიულ პირობებში. ილიას შემდეგაც არაერთმა ჩვენმა დიდმა მოღვაწემ და მოაზროვნემ – არჩილ ჯორჯაძემ, მიხაკო წერეთელმა, ვარლამ ჩერქეზიშვილმა, გიორგი ზდანოვიჩმა–მაიაშვილმა, კიტა აბაშიძემ, ნიკო ნიკოლაძემ, ივანე ჯავახიშვილმა თავიანთი კვალი დაატყვეს ამ თეორიას. თვითონ ილიასაც თავისი დიდი ახლო წინაპრები ჰყავდა გზის გასაკვალად 1832 წლის **„შეთქმულთა“**, პირველ რიგში კი, მათი უპირველესი იდეოლოგის სოლომონ დოდაშვილის სახით. ამიტომ უწოდა მას ილიამ – **„ეროვნული მოძრაობის პირველი მედროშე და ევროპეიზმის ფუძემდებელი საქართველოში“**.

ერთი სიტყვით, თუ მართლაც ქართულ სახელმწიფოს ვესწრაფვით და არა რაღაც გაურკვეველ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს, უნდა მთელი სერიოზულობით ვიფიქროთ მისთვის მკვიდრი იდეოლოგიური საფუძვლების მომზადება. როგორც ილია წერს, – **„ახალი საქართველო მხოლოდ ძველიდგან უნდა აღმოვშობოთ მკვიდრად“**. ეს ილიასეული **„აღმოშობა“** კი პირველ რიგში, ჩვენი ისტორიისა და ქართველი ერის ფსიქო–გენეტიკური ფესვების გათავისებას

ნიშნავს. სწორედ მათი წვდომით ჩაეყარა საფუძველი **„საერთო ნიადაგის“** თეორიას.

ყველაზე ზოგად–სოციოლოგიური გააზრებით, **„საერთო ნიადაგის“** თეორიის არსი და დანიშნულება ეროვნული ერთობისაკენ მოწოდებაა, თანამედროვე ეპოქაში გიორგი ათონელი – მთაწმინდელის **„ერთნებაობითა და თანადგომით ქვეყნის მართვის“** განხორციელებაა. **„საერთო ნიადაგიც“** ხომ ამიტომ ჰქვია... ერთობა რომ სანატრელი და სანუკვარი რამ არის, ვინ არ იცის და ვის არ უქადაგია ეს, მაგრამ ილიას სიდიადე და სიბრძნეც სწორედ ის არის, რომ მან მისი კონკრეტული პრინციპები და სტრატეგია, მათი განხორციელების გზა და ტაქტიკური საშუალებანიც მოგვცა...

პოლიტიკური მსოფლმხედველობის თვალსაზრისით, ილია თავისებურად **„სამსახოვანი პიროვნებაა“**; მომავალი ქართული სახელმწიფოს მისეული სტრატეგიული ხედვა და გააზრება 3 პოლიტიკურ იდეოლოგიას ეფუძნება – კონსერვატიზმს, ლიბერალიზმს და ევროპულ სოციალ–დემოკრატიას: სახელმწიფო წყობის მიმართებით იგი კონსერვატორი, კონსტიტუციური მონარქიის პრინციპებზე სახელმწიფო მოწყობის მომხრეა, ადამიანის უფლებების მიმართებით თანამედროვე ლიბერალიზმის, ხოლო ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების მიმართებით ევროპული სოციალ–დემოკრატიული ღირებულებების მომხრე და მიმდევარია.

ალმანახის ფორმატში შეუძლებელია ამ თეორიის დეტალური ანალიზი, მაგრამ თუ სქემატურად წარმოვადგენთ **„საერთო ნიადაგის“** თეორიას, ეს სქემა სამი დიდი ზოგადი თემატიკით და კონცეფტუალური გააზრებით შეიძლება გადმოვცეთ: **ეროვნული იდეოლოგია, ეროვნული ეკონომიკა და ეროვნული სახელმწიფო.**

I

ეროვნული იდეოლოგია

ვისაც დავით აღმაშენებლის **„გალობანი სინანულისანი“** წაუკითხავს, ისე როგორც 1125 წლის **„ანდერძი“** და განსაკუთრებით კი, უფრო ადრეული **„ანდერძი შიო მღვიმის მონასტრისადმი“**, ის დაგვეთანხმება: იგი სიტყვის, იდეის, რწმენის ძალას მიაწერს ყველა თავის დიდ გამარჯვებას, ყველა იმ **„ძლევაი საკვირველს“**, რომლებითაც დღეს ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ. სტატიაში – **„დავით აღმაშენებელი“** ილია წერს:

„არ ვიცით, სხვა როგორ ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი თავის საუბედუროდ თავის

ისტორიას ივიწყებს..., ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? იგი მთხრობელია იმისი, თუ – რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ... იგი გვიჩვენებს სულისა და გულის მოძრაობას ერისას, იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ერს დღეგრძელობისთვის...

... დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ თავის დიდბუნებოვან კაცობითაც. იგი თავდადებული მოყვარე თავის ეროვნობისა და მართლმადიდებელის სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისა და სარწმუნოებისა... ამისთანა შემწყნარებელი სხვისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არა ჰზოგავდა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან!"

მართლაც რომ საოცარი და საკვირველი მაგალითია და ამანაც უნდა დაგვაფიქროს XXI საუკუნის ქართველთა თაობები ჩვენი წარსული ისტორიისა და ეროვნული მემკვიდრეობის გააზრება–გათავისების აუცილებლობაზე. ეს ეხება როგორც უძველეს და ძველ, ისე ახალ და უახლეს ისტორიასაც. გენეტიკურადაც სწორედ ეს მოგვცემს იმ „სულის ღონეს", რომლის გარეშე გამარჯვების იმედი არ უნდა გქონდეს, რამეთუ – **„ყველა დიდნი საქმენი და გმირობანი მარტო სულის ღონეა და სხვა არაფრის"...**

მხოლოდ ამ გზით შევძლებთ ჩვენი ისტორიის **„მაგარი ქვების"** გამორჩევა–მოძიება–გამოყენებას ახალი საქართველოს მშენებლობისთვის. **„მაგარი"** და **„ფუყე ქვების"** იდეა ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ალეგორიაა ილიას მემკვიდრეობაში. სტატიაში – **„ერი და ისტორია"** წერს:

„რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის, რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულს წალკოტსა, თუ ჩვენს წარსულს ჩვენი ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედგა. ეს ერთის მხრით. მეორეს მხრით, რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა, თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად, უვარგისი და ფუყე ქვაც არ ჩაეყოლებინა..."

აქ სჭირდება კაცს პატრიოტობასთან ერთად ის დიდი სიბრძნე, მეცნიერული კვლევა–ძიების ობიექტურობა და მიზანმიმართული ხასიათი, რაც სწორ გზა–კვალს მისცემს ხალხს და ქვეყანას, საქართველოს საზოგადოებრივ–ეკონომიკური განვითარების სწორი სტრატეგიის შემუშავებას. ივანე ჯავახიშვილმა, მას შემდეგ, რაც 1936 წელს მოხდა ილია ჭავჭავაძის რეაბილიტაცია, მიზნად დაისახა მთელი ციკლი მიეძღვნა ილიას მემკვიდრეობის კვლევისათვის. 1938 წელს მან პირველი ნაშრომიც გამოსცა ამ მიმართულებით, მაგრამ სამწუხაროდ, მისი გაგრძელება და დასრულება აღარ დასცალდა. ამ ნაშრომში კი, იგი აღფრთოვანებას ვერ მალავს **„საქართველოს ისტორიის**

ფილოსოფიის“ ილიასეული წვდომისა და დასკვნების მიმართ და ამიტომაც უწოდებს მას **„საქართველოს მომავლის გზისგამკვალავს“...**

საპროგრამო წერილების ციკლში – **„ცხოვრება და კანონი“** ილიამ მოგვცა სახელმწიფოს შესახებ თეორიის ის ფუნდამენტი და იდეოლოგიური ბაზა, რომელიც ქართული სახელმწიფოს ისტორიული ფესვების წვდომის და მათი გათანამედროვეობის საშუალებას იძლევა. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ იგი ჯერ კიდევ 1862 წელს **„საქართველოს მოამბის“** პირველსავე სარედაქციო წერილში წერს ამ ფენომენზე – **„ცხოვრება თვითრჯულია. იგი არ გამოიჭრება კაცისაგან მოგონილს რიკ–რიკაზედ“.**

სწორედ ამიტომ არის, რომ ეს ორ ათეულ წელზე მეტია რაც ასეთი **„რიკ–რიკით“** მოვდივართ შესატყვისი შედეგებით. ჯერ–ჯერობით არავინ გამოჩნდა ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელიც ჩვენი ეროვნული ცხოვრების **„თვითრჯულობით“** მოძებნის „გზას ქვეყნის წინსვლა–განვითარებისკენ ილიასეული მაგარი და ფუყე ქვების“ ისეთი გამორჩევით, რაც მკვიდრ საფუძველს ჩაუყრის ახალ ქართულ სახელმწიფოებრიობას.

ივანე ჯავახიშვილი ზემოდაღნიშნულ ნაშრომში – **„ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“**, დაწვრილებით აანალიზებს რა ილიას სტატიას – **„ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ“**, ასკვნის, რომ მომავლის თვალსაზრისით იგი საქართველოს საზოგადოებრივ–ეკონომიკური განვითარების ისეთ პროგრამულ იდეებს შეიცავს, რომელთა გათვალისწინება საქართველოს **„ახალ ოქროვან ხანას“** მოუტანს. მოვიყვანთ ილიას ამ სტატიიდან ციტატას, რომლითაც აღფრთოვანებას და გაოცებას ვერ მალავს ივანე ჯავახიშვილი ამ ილიასეული ანალიზის მიმართ:

„საქართველო დღედაღამ იარაღით ხელში იდგა, ... სულ მუდამ იბრძოდა, ომობდა, სისხლსა ღვრიდა და ბოლოს მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს თვითმყოფადი სული ისე დალია, რომ ჩვენს ქვეყანას არავისი ვალი და ვახში არ დასდებია.

ვთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა, საკვირველი ეს არის – რით გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლისღვრასა ეს ერთი მუჭა ხალხი? ... ამის პასუხი ჩვენს ძველ ეკონომიურს წყობაში უნდა მოინახებოდეს. უეჭველია, რომ ჩვენი უწინდელი ეკონომიური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდან ჰქონია ის ქონებითი ძალ–ღონე, რომლითაც გასძღოლია ამოდენა ვაი–ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში. აი, საგანი ღირსშესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად... ამ საგანზედ რომ ვინმემ უეჭველი პასუხი მოგვცეს, ბევრს ნათელს მოჰფენდა აწმყოს და მომავალსაც გზას გაუნათებდა“.

ივანე ჯავახიშვილი წერს, რომ – „**დღემდე ჯერ არცერთ ქართველ მოღვაწეს და მოაზროვნეს არ გასჩენია ასეთი კითხვა**“ და იქვე იმასაც უსვავს ხაზს, რომ ილიამ მასზე პასუხსაც ისეთი ღრმა მეცნიერული და ობიექტური მიმართულება მისცა, რაც „**მომავლის გზისგამკვლავია**“ შემდგომი თაობებისთვის.

II

ეროვნული ეკონომიკა

ეკონომიკის სფეროში ეს „**მომავლის გზისკვალვა**“ შეიძლება გამოიხატოს ილიას მეტაფორული სიტყვებით: „**რაც არ უნდა მოეძალოს ინდუსტრია საქართველოს, იგი მაინც მიწისა და გუთნის ქვეყნად უნდა დარჩეს**“.

ეს არ არის „**კონსერვატორული და ანტიინდუსტრიული პოზიცია**“, როგორც ამას მესამედასელი კოსმოპოლიტები სწამებდნენ „**დამყაყებული ქართული ნაციონალიზმისა და რეაქციის ბურჯს**“. ილიას ამ მხატვრულ მეტაფორაში „**გუთანის**“ სიმბოლიკა სწორედ იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მომავალი ეკონომიკა „**აგრარულ–ინდუსტრიულ სტრატეგიას**“ უნდა დაემორჩილოს – მოწინავე ტექნიკის და ტექნოლოგიების დანერგვა საქართველოში ხომ ილიას ყველაზე დიდი ნატვრა და ოცნება იყო. ამ თემისადმი მას არაერთი წერილი და სტატია აქვს მიძღვნილი...

სტატიათა ციკლში – „**კერძო და სათემო მიწათმფლობელობა**“ **მან ამ ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელების სამეურნეო**– ორგანიზაციული დიდი სამომავლო პრობლემაც დასვა: „**კომლი**“ და მასზე დაფუძნებული „**ხოდაბუნური**“ სასოფლო–სამეურნეო კორპორაციების ერთიანი ეროვნული სისტემის შექმნა – ეს არის ილიას მთავარი იდეა ამ მიმართებით. „**ხოდაბუნი**“ ჩვენი ეროვნული ცხოვრების ერთ–ერთი ყველაზე „**მაგარი ქვაა**“ – იგი ხომ ისტორიულად „**ქართლის ცხოვრებაში**“ დავით აღმაშენებლის ეპოქიდანაა დაფიქსირებული. ებრაული „**კიბუცის**“ მსგავსად, „**ხოდაბუნიც**“ ორი დიდმნიშვნელოვანი ფუნქციის მატარებელია ძველ საქართველოში: ერთი მხრივ, სოციალურის, – აერთიანებდა რა სოციალური სამართლიანობისა და თანამშრომლობის საფუძველზე მოცემული სოფლისა თუ თემის მოსახლეობას და მეორე მხრივ, შრომის კოოპერაციით ხელს უწყობდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. სწორედ „**ხოდაბუნის**“ ეს სოციალურ–ეკონომიკური არსი „**ინახავდა ქვეყანას ამოდენა სისხლისმღვრელი ომიანობის პირობებში**“...

მისი ორი ფუნქციონალური დატვირთვა დღევანდელ ტექნიკურ–ტექნოლოგიურ პირობებში ახლებურ გააზრებას და ცხოვრებაში დანერგვას თხოულობენ ჩვენგან. რა თქმა უნდა, სისხლის ნათესაობაზე დაფუძნებულ ძველ

ქართულ **„სრულფუძიან კომლს“** ვეღარ აღვადგენთ. ის ცალკეულ ოჯახებად ჯერ კიდევ ილიას ეპოქაში დაიშალა. მაგრამ პრინციპი და მოხსენიებული ფუნქციები ხომ დარჩა? სწორედ ესაა მთავარი – **„საერთო ნიადაგის“** თეორიაც იმისკენაა მოწოდებული, რომ ეს ყველაფერი ეპოქის შესატყვისი ფორმებით აღადგინოს და გაათანამედროვოს – განავითაროს...

„ძველი საქართველოდან ახალი საქართველოს აღმოშობის“ ეს იდეა წითელ ხაზად გასდევს მის ამ წერილს. ამ მხრივაც არის ნიშანდობლივი ეს საპროგრამო წერილი – **„ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“.** ამ დიდი იდეით იმუხტება მკითხველიც, თუ კი მას ყურადღებით წაიკითხავს და გაანალიზებს. ამავე წერილში ერთ ისეთ დაკვირვებასაც ვხვდებით, რომელსაც ხშირად იყენებენ ვითომცდა ილიას მიერ **„ქართლის ცხოვრების“** უარყოფითი შეფასების საილუსტრაციოდ:

„... ჩვენის შიდა–ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდაუხდელია და უცნობია ჩვენგან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, არამედ მეფეთა ისტორიაა... თვითონ მეფეთა ისტორიაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა – საქმეთა“.

სავსებით ცხადი და გასაგებია თუ რას საყვედურობს ილია **„ქართლის ცხოვრებას“** და მის ავტორებს – მას მათგან პასუხი აინტერესებს, თუ რას წარმოადგენდა ძველი საქართველოს და ქართული სახელმწიფოს **„შიდა–ცხოვრება“**, თუმცა აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ იგივე **„ქართლის ცხოვრებიდან“** ბევრი რამ ამ **„შიდა ცხოვრებიდან“** დაკვირვებულმა კაცმა შეიძლება გამოარკვიოს და **„იგულისხმოს“**. ეს მართლაც ასეა – ძველი და შუა საუუნეების ყველა ქვეყნის ისტორია მეტ–ნაკლებად გვერდს უვლის ეკონომიკური პრობლემების ანალიზს, თუმცა ამ მხრივაც ბევრ საგულისხმო მასალას იძლევა სადღეისო დასკვნებისათვის. ილიასთვის **„ქართლის ცხოვრების“** ეს ნაკლი სრულებითაც არ ნიშნავს მის დაკნინებას და მითუმეტეს უარყოფას. სხვაგან არაერთგან აღუნიშნავს ამ ჩვენი საამაყო საისტორიო წყაროთმცოდნეობის – **„უპირველესი ქართული წიგნისა და ქართული ბიბლიის“** მნიშვნელობა. ამ სტატიაშიც სწორედ მისგან გამოჰყავს ის ზოგადი დასკვნა, რომელიც ეროვნული ეკონომიკის საფუძვლად მიგვაჩნია, რამეთუ ეს დასკვნა ჩვენს უმთავრეს პრობლემას – მიწის პრობლემას ეხება:

„ჩვენ გვგონია, რომ სიკეთე ჩვენი ეკონომიურის აგებულებისა და წყობისა იმაში ყოფილა, რომ მიწა ცოტად თუ ბევრად სამართლიანად ყოფილა მორიგებული ჩვენს ხალხში, ვიდრე სადმე სხვაგან. საკვირველია, რომ უმამულო, უბინაო კაცი ჩვენში თითქმის არსად არ მოიძევება. ამისთანა წყობამ მიჰმართა უსათუოდ ჩვენი ხალხი მიწათმოქმედებას, რომელიც... დღეს აქამომდე მკვიდრი წყაროა ხალხისა და ქვეყნის საზრდოობისთვის, ვიდრე სხვა რამ...

ჩვენს ეკონომიურ წყობაში ორგვარი მიმდინარეობა იყო... ერთი საკომლო საკუთრება, მეორე სასოფლო–სათემო... თუ საკომლო უფრო მეტად ფეხს გაიდგამდა, მაშინ უსწორ–მასწორობას მიწის მფლობელობაში ფართო გზა გაეხსნებოდა და თუ სასოფლო გაძლიერდებოდა, მაშინ ამ უსწორ–მასწორობას გზა შეეკვრებოდა...

აქედან ცხადია ჩვენი მეფეები რას უნდა გაჰფრთხილებოდნენ და როგორც სჩანს, უფრთხილდებოდნენ კიდეც თუ არა მეფენი, თვითონ ხალხი მაინცა. ეს იქიდანა სჩანს, რომ ჩვეულებამ ფრთა შეაკვეცა საკომლო საკუთრებას... ყველგან საკომლო განსაზღვრული იყო ოცის დღიურის მიწითა... ისე, რომ ერთს კომლს სოფელში არ შეეძლო ჩვეულებით დადგენილზედ მეტი მამულები დაეჭირა, ტყისა და საძოვრების დასაკუთრება ხომ ყოვლად შეუძლებელი იყო და დღესაც ჩვენის ხალხის გონებაში ვერა თავსდება ის აზრი, რომ ტყე და მინდორი საკუთრება იყოს ვისიმე და არა სოფლისა“.

ჩვენი ერთ–ერთი არგუმენტი, რომლითაც ვცდილობდით დაგვერწმუნებინა ყველა ხელისუფლება ამ 25 წლის მანძილზე ილიას მემკვიდრეობის, მისი **„საერთო ნიადაგის“** გამოყენების აუცილებლობაში, სწორედ ეს მიწის პრობლემა იყო და არის დღესაც. ჩვენ ისტორიულად მცირემიწიანი ქვეყანა ვართ და ამდენად მიწის პრობლემას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება ჩვენგან. მახსოვს გამსახურდიას ხელისუფლების დროს, როცა კოლმეურნეობებისა და ე.წ. „**საბჭოთა მეურნეობების“** გაუქმების საკითხი დადგა, მათი გაუქმების ნაცვლად, მათი რეორგანიზაციის საკითხი დავაყენეთ იმ მიზნით, რომ ისინი სოფლის თვითმართველობის გამგებლობაში გადასულიყვნენ. ეს ერთი მხრივ, გააძლიერებდა სოფლის თვითმართველობას, მეორე მხრივ, გადაარჩენდა მიწას, ტექნიკას და შენობა–ნაგებობებს დატაცებისაგან. „ილიალოგთა კლუბში“ სპეციალური დისკუსიაც კი მოვაწყეთ ილიას ცნობილი დევიზისა და **„საერთო ნიადაგის“** თეორიის ერთ–ერთი პრინციპის საფუძველზე – **„ჩვენი ხსნა ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმართველობაშია!“** მაგრამ არც ამ დისკუსიის დროს გამოჩნდნენ „ილიას გამგონენი“. შედეგად კი რაც მივიღეთ, ყველა თვალნათლივ ვხედავთ...

რატომღაც მაშინაც და დღესაც გაბატონებულია თვალსაზრისი, რომ კაპიტალიზმის საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს მასში. ეს თეორიული დოგმა მცდარია საფუძველშივე და პრაქტიკამ არაერთხელ დაამტკიცა ეს. ამის ყველაზე კლასიკურ მაგალითად მოჰყავთ ე.წ. **„ამერიკის დიდი კრიზისი და რუზველტის ახალი კურსის პოლიტიკა“.** კეინსის და რუზველტის ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის ამ პოლიტიკამ გამოიყვანა ამერიკა კრიზისიდან მაშინ და შემდეგშიც რუზველტი არაერთხელ მიმართავდა ამ პრინციპს ეკონომიკურ თუ საბანკო–საფინანსო პოლიტიკაში, იმდენად ხშირად, რომ მას „სტალინის მიმდევარის“ ზეწოდებაც კი შეარქვეს.

ეკონომიკის თვითდინებაზე მიშვებას და სახელმწიფოს ეკონომიკის რეგულატორის ფუნქციის დაკნინება–დავიწყებას, ისე როგორც უკიდურეს სახელმწიფო მონოპოლიას, ყოველთვის დიდ ეკონომიკურ კრიზისამდე მიჰყავს ქვეყანა...

კაპიტალიზმი საქართველოში ილიას ეპოქაში ჩაისახა და ილია კარგად გრძნობდა, რომ ერის ინტელექტუალური ძალების ვალია მოეძებნათ გზა და საშუალება მისი ეროვნული ეკონომიკის სამსახურში ჩასაყენებლად. კაპიტალიზმიც იაპონიიდან ამერიკამდე და ნორვეგიიდან სამხრეთ აფრიკამდე სხვადასხვა ფორმით განვითარდა და **„ქართული სახალხო კაპიტალიზმის“** ილიას იდეაც ერის ხასიათსა და ისტორიაზე მორგებული ფენომენია. რიგ სტადიებში (**„კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“, „იმიგრაცია საქართველოდან“, „ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ“, „ხიზანთა საქმე“, „ჩარჩული კაპიტალი და ჩვენი მრეწველობა“, „ცხოვრება და კანონი“...**), ილიამ შესძლო **„ფარდა აეხადა ჩვენის შიდა–ცხოვრებისათვის“** და ამისკენვე მოგვიწოდებს ყველას, ვისაც ეროვნული მემკვიდრეობის საფუძველზე **„ახალი საქართველოს აღმოშობა“** სწამს. ის იმისკენაც მოგვიწოდებს, რომ **„ყური ვათხოვოთ“** ჩვენი ქვეყნის მთასა თუ ბარში ხალხის მიერ შემონახულ ძველი ცხოვრების **„ნაშთებს“**, გავითავისოთ და გავათანამედროვოთ ეპოქის შესატყვისად ისინი და **„ქართული სახალხო კაპიტალიზმის ბალავრის ქვად“** ვაქციოთ მათი გასაშუალებით და გათანამედროვეობით...

სტატიაში – **„ჩარჩული კაპიტალი და ჩვენი მრეწველობა“,** რიგ სხვა წერილებსა და სტატიებში ილიამ მოგვცა ზევით ნახსენები **„საქართველოს აგრარულ–ინდუსტრიული სტრატეგიის“** ზოგადი მონახაზები. აქ იგი აყენებს ისეთ საკითხს, რომელსაც დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, თუ რა თქმა უნდა, აქაც მის იდეას და ნათქვამს ძველებურად **„ყურს არ მოვუყრუებთ“**. იგი წერს:

„არა გვგონია სადმე იყოს ისეთი გამოუსადეგი და გაუბედავი... ფულით მოქმედი კაცი, როგორც ჩვენს ქვეყანაშია. ისინი მარტო ერთი ჯიბიდან მეორეში ფულის გადატანისთვის იღწვიან და მათგან სხვა რამ სიკეთე და გამორჩენა არ იცის ქვეყანამ... მრავალგვარად მდიდარს ჩვენს ქვეყანაში კი, ყველა დარგი მრეწველობისა დიდ ხელს მისცემს მრეწველსაც და ქვეყანასაც გაამდიდრებს...“

ილიამ იცის, რომ ... **„კაპიტალი მაშინ არის კარგი და პატიოსანი“**, როცა საქმით, წარმოებით, ახალ–ახალი ტექნიკით წინ წასწევს თავის წილ მოგებასაც და ხალხისა და ქვეყნის ცხოვრებასაც. ამისათვის ჩვენს მთა–ბარს და მიწა–წყალს ყველა აუცილებელი წინაპირობა აქვს. აქ რომ იტყვიან, **„ჩიტის რძესაც კი მოიპოვებს კაცი, ოღონდ თავი და ხელი გასძარ“**. ილიას განსაკუთრებულ იმედს აძლევს ის მრავალფეროვანი წიაღისეული, რომლებიც უხვად აღმოჩნდნენ

საქართველოს ტერიტორიაზე **„ნავთობიდან და შავი ქვიდან დაწყებული და მარმარილოთი, ბაზალტის და სხვა ძვირფასი ქვებით დამთავრებული“**...

მაგრამ ილიას საქართველოს და ქართველი ერის მთავარ სიმდიდრედ მაინც... **„ჩვენი დალოცვილი მიწის“** ბარაქა და სიმდიდრე მიაჩნია, იმის სამრეწველო გადამუშავება და საზღვარგარეთის ბაზრებზე გატანა, რაც ასე აუცილებელი და სასარგებლოა ადამიანებისათვის, განსაკუთრებით **„მდიდარ და ფულიან ქვეყნებში“**. ამიტომ აგრარული წარმოება ილიასთვის ყველაზე მისაღები სამრეწველო დარგია საქართველოსთვის. წერილებში **„აბრეშუმის საქმე“**, **„ევროპულად და ქართულად ღვინის დაყენების წესი“, „ჩვენი ხილნარი“, ...** იგი თხოულობს გადამამუშავებელი მრეწველობისთვის **„ფართო გზის გახსნას და ამ მიმართულებით ქართული ბიზნესის განვითარებას“**.

– ქართველებმაც უნდა ვისწავლოთ ფულის ყადრი და არა მისი უმიზნოდ და უთავბოლოდ ფლანგვა, – ასეთია ილიას მოწოდება. კაპიტალიზმი სხვანაირად **„დაგვიმონებს და სხვათა და სხვათა ხელისშემყურედ გაგვხდის, რადგანაც „უფულო ერი ფულიანთა საძოვარია, იმათი საცხოვრისია“**. ამის თავიდან ასაცილებლად ეროვნული ეკონომიკაა საჭირო, რომელიც რეგიონალურ ეკონომიკათა თავისებური ნაერთია. ამიტომ აქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას რეგიონალურ ეკონომიკათა განვითარებას. ამ მიზნით არაერთი **„ხოდაბუნური“** ტიპის მეურნეობის შექმნას შეუწყო ხელი ბანკის სესხით. ამ გზით ცდილობდა იგი ქვეყნისათვის მკვიდრი ეკონომიკური საფუძვლების შექმნას...

1895 წელს ვენაში გამოიცა თეოდორ ჰერცელის გახმაურებული წიგნი – **„ებრაული სახელმწიფო“**, რომელიც სულ მალე სიონისტური მოძრაობის იდეოლოგია გახდა. ამ იდეოლოგიამ დარაზმა მსოფლიოში გაფანტული ებრაელები და ბოლოს მან ებრაული სახელმწიფოს შექმნა ფაქტად აქცია II მსოფლიო ომის შემდეგ. ასე და ამრიგად, 50 წელზე ოდნავ მეტი დასჭირდა ჰერცელის იდეას, რომ იგი სიტყვიდან საქმედ ქცეულიყო. ამ პროცესში გადამწყვეტი სიტყვა სწორედ **„კიბუცებმა “** და მასზე დაფუძნებულმა ისრაელის ეროვნულმა ეკონომიკამ თქვა...

1887 წელს, ჰერცელზე 8 წლით ადრე, ილიამ დაამთავრა საპროგრამო წერილების თავისი განთქმული ციკლი – **„ცხოვრება და კანონი“.** ამ ციკლს მან საფუძველი **„ივერიის“** პირველივე ნომრიდან ჩაუყარა და თავიდანვე მას მიზნად ქართული სახელმწიფოსთვის იდეოლოგიური საფუძვლების მომზადება დაუსახა **„საერთო ნიადაგის“** თეორის სახით. ილიას მკვლელობიდან ორიოდე წლის შემდეგ არჩილ ჯორჯაძემ, მიხაკო წერეთელმა, ვარლამ ჩერქეზიშვილმა, გრიგოლ რობაქიძემ და ილიას სხვა მიმდევრებმა ამ თეორიის საფუძველზე დააფუძნეს პოლიტიკური პარტიაც – **„საქართველოს სოციალ–ფედერალისტური პარტია“.** გავიდა საუკუნეზე მეტი და ამ თეორიასაც რომ თავი გავანებოთ, თვით

ილიას **„ივერიის“** და აღნიშნული პარტიის აღდგენა – აღორძინებასაც კი ვერ მოვაბით თავი. ასეთია ჭეშმარიტება, თუკი გვინდა თვალი გავუსწოროთ მას. აქაც სახეზეა ილიასეული – **„ქართული დაგვიანების სენი“...**

ორიოდე სიტყვა სახელზეც – **„საერთო ნიადაგი“.** ვრცლად მასზე ჩვენ ადრეც ბევრი გვითქვამს, აქ კი მოკლედ გავიმეორებთ: ილია უფრო ხშირად ხმარობდა ტერმინს – **„წოდებათა შერიგება“**, ანდა, **„კლასობრივი თანამშრომლობა“** და **„ერთნებობა – თანადგომა“**, მაგრამ XX საუკუნის დასაწყისიდან თანდათანობით გავრცელდა **„საერთო ნიადაგი“**. არჩილ ჯორჯაძე გახდა ამის ინიციატორი. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია – მის დაკანონებაში დიდი წვლილი შეიტანეს მესამედასელმა იდეოლოგებმაც – ფილიპე მახარაძემ, პეტრე გელეიშვილმა, ნოე ჟორდანიამ, რომლებიც საერთოდ, უარყოფდნენ წოდებათა შერიგებასაც და კლასობრივ თანამშრომლობასაც საქართველოს მთელ საზოგადოებრივ–ეკონომიკურ განვითარებაში იდეოლოგიით დაწყებული და სახელმწიფოთი დამთავრებული. ილია პირველ რიგში, ამიტომ იყო მათთვის მიუღებელი. ამაზე ხაზგასმით წერდა ნოე ჟორდანია არა მარტო 1908 წელს (**„ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“**), არამედ თვით ემიგრაციაშიც კი (**„ჩემი წარსული“**)...

„წიწამურთან რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა დამთავრდა დიდი“ – თქვა გალაქტიონმა და სამწუხაროდ ის **„დიდი ეპოქა“** კვლავ **„დამთავრებულია“** დღემდე: ამოცანაც ის არის გამოვაცოცხლოთ და გავაგრძელოთ ილიას ის **„დიდი ეპოქა“.** ამის ერთადერთი გზა კი ეროვნული სახელმწიფოს ფორმირებაა. ის რაც ჰერცელმა და მისმა მიმდევრებმა შესძლეს II მსოფლიო ომის შემდეგ, ახლა მაინც უნდა შევძლოთ XXI საუკუნის ქართველთა თაობებმა...

ეროვნული სახელმწიფო

შეიძლება მკითხველმა თქვას – სახელმწიფო სახელმწიფოა, ეს ასე ამოჩემებული **„ეროვნული სახელმწიფო“** რაღაა?. აქაც უპრიანია ილია მოვიშველიოთ. მოვიყვანთ ვრცელ ამონაწერს სტატიიდან **„ერი და ისტორია“**:

„ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისს საუბედუროდ თავისსავე ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა. დავიწყება ისტორიისა... მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წარწმედისაცა. წარსული მკვიდრი საფუძველია აწმყოსი, აწმყო კი – მომავალისა – ეს სამი სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზე გადაბმული, რომ ერთი უმეურად

წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია. ამიტომაც არის ნათქვამი ერთის ბრძენისაგან, რომ აწმყო შობილი წარსულისაგან, მშობელი არის მომავლისა...

ბევრს ერს ქვეყანაზედ სულაც არ ჰქონია ისტორია, ცნობიერი ცხოვრება სულიერის და ხორციელის გამოსახვისა ერთიანის კრებულისა..., მაგრამ მას მაინც ბოლოს ძალა და ნება გასჩენია სულიერი და ხორციელი ერთობისა...“.

თუ ვის და რას გულისხმობს ილია აქ, სრულიად ნათელი და გასაგებია. აქაც და სხვაგანაც, სადაც იგი აშშ ფორმირებას ეხება, მუდამ იმას უსვავს ხაზს, რომ მხოლოდ ერთიან პოლიტიკურ ორგანიზმად – სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას შეუძლია უზრუნველყოს ნებისმიერი ძველი თუ ახალი ერი გახდეს ძლიერი და წარმატებული თავის მომავალ განვითარებაში. სტატიაში – **„ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი“**, სწორედ ეს იწინასწარმეტყველა. მართლაცდა, ის რაც ჩვენს თვალწინ მოხდა ამ 200 წლის მანძილზე, იმის დემონსტრირებაა, თუ როგორ შეუძლია სახელმწიფოს თვით ახალი, დღემდე უცნობი ერის ფორმირებაც კი. ამიტომ გაჩნდა ეს ახალი ცნებაც დღევანდელ პოლიტოლოგიაში – **„ერი – სახელმწიფო“**: სახელმწიფოს ერთ–ერთი უპირველესი ფუნქცია და ძალაც სწორედ ეს არის...

ერთი სიტყვით, ჩვენს მიერ ადრე აღნიშნულ პრობლემათა სისტემაში – **ეროვნული იდეოლოგია, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული სახელმწიფო, ეს** უკანასკნელი ამ ტრიადის დამაგვირგვინებელი ელემენტია. ილია ჭავჭავაძის გენიოსობა, მისი ანალიტიკური აზროვნების ძალა და სიღრმეც იმაშია, რომ ეროვნული სახელმწიფოს ქმნადობა და განვითარება ერის უპირველეს მიზნად და ამოცანად დასახა. ილიასეული **„ჩვენი ყუდნების“** არსიც ხომ ესაა...

„საერთო ნიადაგის“ თეორიაში სახელმწიფოს, როგორც მოცემული ერისა და საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის პრობლემატიკას კომპლექსური სახით ვხვდებით სტატიათა ციკლში – **„ცხოვრება და კანონი“**. მის პირველსავე სტრიქონებში ვკითხულობთ:

„ბუნებამ რაც არ უნდა სიმდიდრით მორთოს რომელიმე ქვეყანა..., მაინც ხალხთა კეთილდღეობას სხვა მხრივაც ხელის შეწყობა სდომებია. კაცს მაგოდენად ვერა შველის ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა“.

სახელმწიფოც, როგორც ამ უფლება–მოვალეობების **„კეთილად დამდგენელი და ცხადად განმსაზღვრელი“**, მხოლოდ მაშინ შესძლებს თავისი ფუნქციის სრულად და ეფექტურად შესრულებას, როცა შესძლებს **„ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთ კვალში ჩაყენებას“**. ეს იყო, არის და მომავალშიც იქნება **„ერთნებობითა და თანადგომით ქვეყნის მართვის“** აუცილებელი წინაპირობა. ამასთან, ეს **„ერთ კვალში ჩაყენებაც“** და **„ერთნებობა – თანადგომით**

მართვაც“ უნდა განხორციელდეს ერისა და საზოგადოების ყველა შემადგენელი ძალების მიერ **„ერთმანეთის_დაუმონებლად და შეუბღალავად“.**

აი, **„საერთო ნიადაგის“** თეორიის ის პრინციპები, რომლებითაც ილია სამკვდრო–სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა **„მესამე დასის“** მარქსისტთა კლასობრივი ბრძოლის იდეოლოგიას და რომელიც გახდა კიდეც მისი მკვლელობის მთავარი მოტივიც. ეს იდეოლოგია ილიაში ხედავდა იმ უკომპრომისო პოლიტიკურ ოპონენტს, რომელიც არ დაუშვებდა სიძულვილის, კლასობრივი დაპირისპირებისა და ურთიერთბრძოლის გაბატონებას საქართველოში სანამ მას პირში სული ედგა. **„მესამე დასის“** გამოჩენას იგი **„ივერიის“** ფურცლებზე ასეთი შარჟით შეხვდა:

„იქნებ გგონიათ ამით მინდა თავი მოგაწონოთ, რომ თქვენის ბედნიერის ხელით მესამე დასში შესასვლელად კარი გამიღოთ. სრულებითაც არა! მე მინდა უფრო შორს გადავაბოტო: თუ ღმერთი შემეწევა, მე მეოთხე დასს შევადგენ და მეთაურადაც დავუდგები!... საქმე ეხლა თვლაშია – მეოთხე მესამეზე ერთით წინ არის... მეოთხეს მეხუთე მოჰყვება, მეხუთეს – მეექვსე და წავა ასე, სანამ ადამიანს სათვალავი შემოაკლდება. ქართული პროგრესი ეს არის და ევროპიულისა კი რა მოგახსენოთ“.

ცოტა მოგვიანებით, როცა მესამე დასმა და კლასობრივი ბრძოლის მისმა იდეოლოგიამ უკვე გვარიანად ფესვი გაიდგა ამერ–იმერით, ილია წერდა:

„ისტორია ბრძოლაა ბუნებასთან, სიღარიბესთან, გონების სიბნელესთან... ერთ ბიჯსაც ვერ წავდგავთ წინ ამ ბრძოლაში, თუ ყველამ ცალკ–ცალკე გავიწიეთ, ყველამ ცალკე ვიბრძოლეთ. თუ ესეა, ნუთუ ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთ კვალში ჩაყენება სანატრელი არ უნდა იყოს ყველასათვის, რომ ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთს დიდებულს დენას შეერთებულის ძალისას? ამიტომ დიდად სცოდავენ ხალხსაც და ქვეყანასაც ისინი, ვისაც გულში ჩაუდვია გინდა თუ არა განხეთქილება უნდა იყოსო..., რადგანაც ევროპაში განხეთქილება სუფევსო. განა ევროპა ცოტა დროსა და ღონეს ჰკარგავს, ცოტა სისხლსა ჰღვრის, რომ ეს განხეთქილება მოსპოს?...“

სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებში ილია მთლიანად ევროპული სოციალ–დემოკრატიის პოზიციებზე დადგა. კლასობრივი ბრძოლის ნაცვლად, კლასობრივი თანამშრომლობა მისი ამოსავალი პრინციპია და ამდენად, სახელმწიფოც ამ პრინციპის საფუძველზე უნდა ფუნქციონირებდეს. აქ ილიას და ქართველი სოციალ–ფედერალისტების, განსაკუთრებით კი, მათი მთავარი იდეოლოგების არჩილ ჯორჯაძის, ვარლამ ჩერქეზიშვილის და მიხაკო წერეთლის შეხედულებები მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს...

სახელმწიფოს თეორია და პრაქტიკა მას შემდეგ დღემდე ბევრმხრივ შეიცვალა ევროპაშიც და მსოფლიოშიც, მაგრამ დღეს, როცა სახელმწიფოებრივი

მშენებლობის საკითხი ასე აქტუალურად დგას ჩვენში, ილიას შეხედულებანი მასზე, დღევანდელი საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის რიგ საკითხებზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ვიმეორებთ, ილიას სიდიადე, მისი მემკვიდრეობის არსი და დანიშნულება ჩვენთვის პირველ რიგში იმაში მდგომარეობს, რომ მას კეთილი სამსახურის გაწევა შეუძლია დღევანდელ პირობებშიც. **„ილია დღეს“** – ასე შეიძლება გავიაზროთ ყოველივე ეს. ამიტომაც არის იგი – **„საქართველოს თანამდევი უკვდავი სული“...**

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ **„საერთო ნიადაგის“** თეორიას ორ ათეულზე მეტი პრინციპები აქვს და მათზე სხვა დროს მოგვიწევს შეჩერება, აქკი გვინდა შევჩერდეთ უფრო მეტად დღევანდელი ქართული პოლიტიკის რამოდენიმე პრაქტიკულ საკითხზე, რომლებსაც ვფიქრობთ, არსებითი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნის დღევანდელი და სამომავლო განვითარებისთვის. მაშ, ვნახოთ, როგორ უყურებდა ილია ამ საკითხებს. ამით გვინდა თეორიულთან ერთად, ილიას როგორც კაცის, **პიროვნული პროფილიც წარმოვაჩინოთ, მისი ხასიათის სხვადასხვა წახნაგებით, რომლითაც ასევე მდიდარი იყო იგი...**

ილია და რუსეთი

დიდი შორსმჭვრეტელობა არ არის იმის გასააზრებლად, რომ რუსეთი კიდევ კარგა ხანს დარჩება ქართული პოლიტიკის, მთლიანად საქართველოს საზოგადოებრივ–ეკონომიკური განვითარების ერთ–ერთ მთავარ ფაქტორად. ჩვენს ისტორიაში ახალ–ახალი სამხედრო–პოლიტიკური ძალების მონაცვლეობა ყოველთვის მტკივნეულად მიმდინარეობდა. ამ მხრივაც არაერთმა იმპერიულმა ძალამ დატოვა თავისი ნაკვალევი ჩვენს ისტორიაში. მთელი XIX საუკუნე ისე გავლიეთ, რომ სპარსული ენისა და კულტურის გავლენა ვერ მოვიცილეთ თავიდან. სალაპარაკო ენაშიც იგრძნობოდა ეს, კულტურაში, მუსიკასა თუ ყოფა–ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. **„დამპალ ყიზილბაშურ სენს“** უწოდებდა ძველი იმპერიის ამ ზეგავლენას და ნაშთებს ილია...

რუსეთის მიმართ ილიას დამოკიდებულების საფუძველი მაინც პოლიტიკური პრაგმატიზმია. აქედან გამომდინარე, მას მიაჩნდა რომ რაც არ უნდა მოხდეს მომავალში, რუსეთთან საქართველომ არ უნდა დაუშვას აშკარა დაპირისპირება და მითუმეტეს ომი. თუ რატომ, სრულიად ცხადია მისთვის – ეს მხოლოდ **„ზიანს მისცემს ხალხს და ქვეყანას – ომი რუსეთთან დამღუპველია საქართველოსთვის“ –** ასეთია მისი გზავნილი ჩვენთვის.

ამ შემთხვევაშიც მისი იდეალი გიორგი ბრწყინვალე და მისი პოლიტიკაა, ის პოლიტიკა, რისთვისაც ეს ეპითეტი – **„ბრწყინვალე“** ეწოდა მას. ვუწოდოთ ასეთ პოლიტიკას თუნდაც **„აქტიური ლოდინის ტაქტიკა“**, რომელზეც ჩვენ

ადრეც გვისაუბრია დისიდენტურ ნაშრომში – **„იმპერიის ისტორიული ბედი“**. მაშინ – 70–იან წლებში უკვე ნათელი იყო, რომ ახლოვდებოდა საბჭოთა იმპერიის აღსასრული და **„ილიალოგთა კლუბი“** ცდილობდა მოემზადებინა ნიადაგი ილიას იდეოლოგიის დამკვიდრებისათვის, მაგრამ სამწუხაროდ რუსეთთან დაპირისპირების ამ პრობლემამ ითამაშა სწორედ დამღუპველი როლი დამოუკიდებლობის პირველი დღეებიდანვე მოყოლებული...

თვითონ ილიას მოღვაწეობიდან შეგვიძლია მოვიყვანოთ არაერთი ფაქტი, რომლებიც გვიდასტურებენ, თუ რა სიფრთხილით და ზომიერებით, ყოველგვარი ექსცესებისა და რადიკალიზმის გარეშე პასუხობდა იმპერიის ანტიქართულ გამოსვლებს და გამონათქვამებს. იგი მათზე რეაგირების დროს ყოველთვის ცდილობდა აქცენტი გადაეტანა არა ცენტრალურ ხელისუფლებასა და სტრუქტურებზე, არამედ იქაურ პრესაზე, ცალკეული რუსული გაზეთების, ანდა, კატკოვის თუ იანოვსკის მსგავს ცალკეული შოვინისტი ჩინოვნიკების ქართველოფობურ პოზიციებზე, მათ მხილებასა და კრიტიკაზე. მეორე მხრივ კი, ილია ყოველთვის ცდილობდა კარგი და კეთილგონივრული ურთიერთობანი დაემყარებინა რუსეთის ხელისუფლებისა და რუსული საზოგადოების ლიბერალურ, პროგრესულად მოაზროვნე ნაწილთან – ე.წ. **„ზაპადნიკებთან“**, რაც მას ხელს უწყობდა ქვეყნის სასარგებლოდ გადაეწყვიტა ცალკეული პრაქტიკული საკითხები. ამის ნიმუშად გამოდგება თბილისში და ქუთაისში ბანკის გახსნა და მათი წარმატებული ფუნქციონირება...

ასეთი პრაგმატისტული ტაქტიკა ეხმარებოდა მას ერთი მხრივ თავიდან აეცილებინა იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლებასთან მტრული დაპირისპირება და მეორე მხრივ, ქვეყნის განვითარებისთვის პრობლემების გადაჭრაშიც. ილიას პოლიტიკური პრაგმატიზმი მისაბაძი უნდა იყოს ჩვენთვის. დღევანდელი პოლიტიკური ტერმინოლოგიით იგი ნამდვილი **„რიილ–პოლიტიკოსია“**. ახალგაზრდობის დროინდელი **„მგზავრის წერილების“** და **„ჩვენი თავის ჩვენად ყუდნების“** ავტორს შემდგომში ერთხელაც არ წამოსცდენია **„ჰკა მაგას“** მოწოდება. კვლავ გავიმეორებთ – ამ მხრივ მისი იდეალი გიორგი ბრწყინვალეა, ხმლის მოუქნევლად რომ მოაშორა მონღოლთა უღელი ხალხს და ქვეყანას...

1881 წლის მარტის **„შინაურ მიმოხილვაში“**, რომელიც ახლადდაარსებული ჟურნალ **„ივერიის“** მუდმივი რუბრიკა იყო, სანამ მას ილია ყოველდღიურ გაზეთად გადააკეთებდა, იგი წერს:

„რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, სადაც სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი სცხოვრობენ და თანაც ისე, რომ თავიანთ მამა–პაპეულ მიწა–წყალზედ არიან შეჯგუფებულნი და არა შიგადაშიგ გაფანტულნი. ამიტომაც ერთს უდიდესს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ის ... თუ სად თავდება უფლება ეროვნებისა და სად იწყება სახელმწიფოსი.

... უმეცარი მოხელეები ამ უდიდესს საგანს ისე უდგებოდნენ, როგორც მათი ქეიფი იყო. ამ მხრით არავის და არაფერს იმდენი ვნება არ მოუტანია რუსეთისთვის, რამდენიც ამ თავის ქეიფზედ მოარულთ მოხელეობასა... მათი მოქმედების შედეგი ის იყო, რომ რუსეთის სახელი შეაძულეს მათ, ვისზეც უნდა აიგოს სახელმწიფოს ძლიერება... დღეს იქნება, თუ ხვალ ეს მძიმე საგანი წინ აეყუდება რუსეთსა მთელი თავისი სიგრძითა და სიგანითა...

აქ უნდა შევწყვიტოთ ჩვენი ნებითვე სიტყვა, თორემ სხვანი შეგვაწყვეტინებენ. ახლა იქნება მკითხველმა მკითხოს – ან ეგ რაცა სთქვი, რათა სთქვიო. რათა ვთქვი და პირველად იმიტომ, რომ ენა მექავებოდა. მეორეც იმიტომ, რომ – მეორეს კი უკაცრავად და ვერ მოგახსენებთ...“.

ასეთი იუმორით ამთავრებს თავის აზრს ილია, რომელსაც ჟურნალის იმავე წლის მაისის ნომერში აგრძელებს. აქ იგი ეხება იმ თემას, რომელიც არანაკლებ და შეიძლება ითქვას უფრო მეტადაც არის აქტუალური დღეს. ეს გახლავთ ე.წ. **„სლავოფილობისა“** და **„ზაპადნიკობის“** თემა, თემა, რომელიც პეტრე დიდიდან და ეკატერინე მეორიდან მოყოლებული რუსული საზოგადოებრივ–პოლიტიკური აზროვნების მუდმივი თემაა დღემდე. ილიას დროს ამ თემამ განსაკუთრებული ინტერესი და აქტუალობა შეიძინა, რამდენადაც სწორედ ამ ეპოქაში რუსეთის რეფორმირება–გარდაქმნის მორიგი დილემა დადგა:

„ნეტარხსენებული იმპერატორი ალექსანდრე მეორე ავიდა ტახტზედ თუ არა, სულ სხვა ახალმა სიომ დაუბერა რუსეთს... გაჩნდა ორი დიდი მდინარება აზრისა და მოძრაობისა – ლიბერალიზმი და კონსერვატიზმი. ამ უკანასკნელს სლავოფილობაც შეარქვეს და ყველაფრის ძველისა და მამაპაპეულის ცხოვრების წესის დამცველებად შერაცხდნენ... ხოლო პირველნი, „ზაპადნიკები“, ანუ, ევროპიულის რუსეთში გადმოტანისა და დანერგვის მომხრენი არიან ...“

ამ სტატიაში და შემდგომ არაერთ წერილსა და სტატიაში ილიას სიმპატიები მუდამ **„ზაპადნიკების“** მხარესაა. მას რა თქმა უნდა, ესმის, რომ ეს მხარდაჭერა რეალურად ვერ შეცვლის ძალთა თანაფარდობას რუსეთის იმპერიაში, მაგრამ საქართველოს სამომავლო ბედ–იღბალში შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს. 900–იან წლებში მისი მხარდაჭერა რუსეთის კონსტიტუციურ–დემოკრატიული პარტიისადმი (**„კადეტები“**) სწორედ ამით აიხსნება. აქაც, ისე როგორც ყოველთვის, მისი ფიქრი საქართველოს მომავალს დასტრიალებდა...

როცა ილიას 1907 წლის გაზაფხულზე, როგორც კავკასიიდან არჩეულ სახელმწიფო საბჭოს წევრს, პეტერბურგში ჩასვლა მოუხდა, აქ მას გარდა საბჭოს სხდომაზე სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გამოსვლისა, განზრახული ჰქონდა **„კადეტებთან“** ერთად მისი ცნობილი **„ავტონომიზაციის კანონის“** მომზადება III სათათბიროზე გასატანად.: ეს კანონი ილიას ჩანაფიქრით პირველი დიდი ნაბიჯი იქნებოდა რუსეთის დემოკრატიული გარდაქმნისა და ინგლისის მსგავსი

კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფო წყობილების დამყარებისაკენ. ამასთან, ეს იქნებოდა საქართველოსთვის ავტონომიის მოპოვებისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯიც, პერსპექტივაში კი, სრული დამოუკიდებლობისაც...

რა თქმა უნდა, ილიას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, როგორც თვითონ უყვარდა ხშირად თქმა – ბევრმა წყალმა ჩაიარა... მაგრამ ესეც ხომაა, – წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო, – ამ შემთხვევაშიც მსოფლიო პოლიტიკის პრინციპები და კანონზომიერებანი იგივენი რჩებიან. ამოცანაც ის არის, რომ შეცვლილ დროს და ვითარებას ადექვატურად მოვარგოთ ისინი...

ილიას ეს აზრი და იდეა, რომ – რაც არ უნდა მოხდეს მომავალში, საქართველო არ უნდა დაუპირისპირდეს და ეომოს რუსეთს, ითქვა მაშინ, როცა ხიშტიანი თოფი, ზარბაზანი, ტყვიამფრქვევი განსაზღვრავდა ყველაფერს მაშინდელ მსოფლიოში. დღევანდელში კი, ტანკმა, ავიაციამ და რაკეტულ–ატომურმა იარაღმა შეცვალა ეს. მისგან შიში და მორიდება იმდენად დიდი და დამთრგუნველია, რომ ყველაზე ძლიერი სახელმწიფოებიც კი ერიდებიან რუსეთთან დაპირისპირებას. ეს აუცილებლად არის გასათვალისწინებელი ჩვენს რეგიონალურ თუ ევროპულ და გლობალურ პოლიტიკაში.

ამ მიმართებით ილიას ერთი მეტაფორული თქმაც არის გასათვალისწინებელი და გასააზრებელი დღესაც – **„ალხანას ჩალხანა არასოდეს გამოელევა“** და შენ შენი უჭკუობით მათ მაგივრად ძალით არ უნდა გაჰყო თავი ხაფანგში... ჭკვიან კაცს დაჯერება უნდა და არა ისეთი მოქცევა, როგორც ერთ ებრაულ წყევლაშია: **„არც შენ იცოდე და არც სხვას დაუჯერო“...**

ებრაელებს ჩვენზე ეს ანდაზაც ჩამოუყალიბდათ: **„ღმერთო, ქართველის ჭკუა მომეცი, ოღონდ გაჭირვებულის!“.** გაჭირვებაც ხომ ესაა და იქნებ ახლა მაინც მოვეგოთ გონს და 25 წლიანი „გიჟ–ვრაცუობის“ შემდეგ, გავიხსენოთ „ილიას გზა“, გზა, რომელსაც შეუძლია არა მარტო ქვეყნის საერთო–ეროვნული კრიზისიდან გამოყვანა, არამედ მისი საოცნებო „ახალი ოქროვანი ხანისკენ“ სამომავლო სვლაც...

საყოველთაოდ ცნობილია ილიას მიერ რუსული ენის ბრწყინვალე ცოდნა; ამ ენაზე შედგენილი მისი დოკუმენტები უნაკლოდ და სანიმუშოდ იყო მიჩნეული და ამიტომ მას, როგორც ამასთან, იურისტს, დაევალა ავტონომიზაციის კანონპროექტის მომზადება მომდევნო 1908 წლის დუმის სხდომაზე გასატანად. ამ იდეას სხვათა შორის, მხარს უჭერდა სტოლიპინიც, მაგრამ ბოლშევიკების და ესერების მიერ მოწყობილმა შეიარაღებულმა აჯანყებამ და მისი ჩახშობის შემდეგ ე.წ. ,,სახელმწიფო გადატრიალებით“ რუსეთის რეფორმირების ეს მორიგი ცდაც მარცხით დამთავრდა...

ამასობაში 1907 წლის 30 აგვისტოც გათენდა– მესამე დასელთა „ტყის ძმებმა“ წიწამურთან ილია მოკლეს, 1911 წელს ტერორისტებმა კიევში

სტოლიპინიც გამოასალმეს სიცოცხლეს და რუსეთის განვითარება კარგახნით ,,სლავოფილური“ გზით და პოლიტიკური ფილოსოფიით წარიმართა. ბოლშევიკებიც ,,სლავოფილები“ იყვნენ, რამდენადაც თავიანთი ,,რუსული სოციალზმით“ გააცოცხლეს და დაუპირისპირეს ’’სლავური განსაკუთრებულობის’’ ძველი იდეა და რუსეთიც კიდევ უფრო დიდი ხნით მოწყვიტეს დასავლეთს, რუსეთის **„ზაპადნიკურ“** პოლიტიკურ ფილოსოფიას და პრაქტიკას...

საქართველოში პარადოქსებს რა გამოლევს და ალბათ გახსოვთ წიწამურის ობელისკზე გაკეთებული წარწერა, რომლითაც მკვლელობის შემკვეთებად და ორგანიზატორებად დაფიქსირებულია ,,მეფის რუსეთის აგენტები“. რუსეთს და მის სპეცსამსახურებს იმდენი ცოდვები აქვთ ჩადენილი, რომ ,,ოხრანკისათვის“ ილიას მკვლელობის ცოდვის აკიდება აბსურდია: მათ არაფრით არ აწყობდათ 1905-07 წლების რევოლუციის ხანაში სახელმწიფოს საბჭოს წევრის მოკვლა, თანაც ყველამ იცოდა, რომ ილია აჯანყებისა და რევოლუციის მოძულე კაცი, თავისი პოლიტიკური მრწამსით და მსოფლმხედველობით რეფორმატორი იყო, ვერ იტანდა თვით სიტყვა ,,რევოლუციას“ და აცხადებდა: ,,რევოლულცია ვერაფერი იარაღია ცხოვრების განკარგვისათვის, ამისთვის კაცობრიობამ მოიგონა წარმომადგენლობითი მართველობა“. ამიტომაც წიწამურის ამ წარწერასაც გასწორება უნდა – ისტორიის სამართალი და ჭეშმარიტება ამასაც მოითხოვს ჩვენგან, იქ ის უნდა დაფიქსირდეს, რაც მაშინ სინამდვილეში მოხდა:

„აქ 1907 წლის 30 აგვისტოს მესამედასელმა მარქსისტებმა მოკლეს ,,საერთო ნიადაგის“ თეორიის ფუძემდებელი და ქართული სახელმწიფოს იდეოლოგი ილია ჭავჭავაძე“.

პოლიტიკა შესაძლებელის მიღწევის ხელოვნებაა და ადამიანის სიბრძნე და ჭკუა–გოენაბც იმაში გამოვლინდება და იმით იზომება, თუ რამდენად შეუძლია შორს განჭვრიტოს მოვლენები სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად. ხშირად ათეულ წლებს შეიძლება გასწვდეს და გასცდეს კაცის ასეთი წინასწარჭვრეტა. პოლიტიკა ამ მხრივ, ჭადრაკს გავს – იმარჯვებს ის, ვინც ყველაზე სწორედ და შორს თვლის და აანალიზებს თავის სვლებსაც და მოწინააღმდეგე – მეტოქისაც...

ილიასთვის ნათელია, რომ ევროპის ,,დიდ–დიდ მტაცებელთა შეჯახება“ გარდუვალია და ასეთ პირობებში პრაგმატისტული პოლიტიკა მოითხოვს რაც შეიძლება ნაკლები ვნება მიიღოს საქართველომ. ამასთან რაკი პოლიტიკა შესაძლებელის მიღწევის ხელოვნებაა, კარგმა პოლიტიკოსმა უნდა ეცადოს ამ ,,შესაძლებელის“ საზღვრები და ზომა–წონა რაც შეიძლება გააფართოოს, მაგრამ არა „შეუძლებლობამდე“. სახელმწიფო საბჭოსა და ,,დუმაში“ მისი მოღვაწეობაც ამ მიზანს ისახავდა, პირველ რიგში კი საქართველოსთვის ავტონომიის მოპოვებას...

მანამდეც არაერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ ილიას პოლიტიკური პრაგმატიზმის საილუსტრაციოდ. ადრეც ვთქვით, ეს პირველ რიგში, რუსეთის დახმარებით ,,თბილისის სათავადაზნაურო ბანკის“ გახსნაა, რომელსაც შემდგომ ქუთაისიც მოჰყვა. ბანკის საშუალებით განახორციელა ილიამ განათლებისა და კულტურის აღორძინება–განვითარების დიდი ეროვნული პროგრამა, პროგრამა, რომელმაც თავისი კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა საქართველოს მთელ ახალ და უახლოეს ისტორიაზე. გაცილებით მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ილიას მიერ რუსეთის სამხედრო–პოლიტიკური ძლიერების გამოყენებას საქართველოს ძირ–ძველი ტერიტორიების დაბრუნებისთვის...

,,სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს!“

ილიას პოლიტიკური ფილოსოფია პრაგმატიზმს ეფუძნებოდა, პრაგმატიზმს კი მოგეხსენებათ, საფუძვლად ეს კრედო უდევს: **,,ჭეშმარიტება არის ის, რაც სასარგებლოა ჩემთვის“**. რაკი ქვეყანას მოუწია კოლონიურ ყოფაში ცხოვრება, ილია ყოველმხრივ ცდილობდა გამოეყენებინა მეტროპოლიის სამხედრო–პოლიტიკური ძლიერება ჩვენი ეროვნული ინტერესების განხორციელებისთვის. ეს პირველ რიგში რუსეთ–თურქეთის ომებს ეხებათ.

1877-78 წლების რუსეთ–თურქეთის ომის შედეგად საქართველოს ძველი ისტორიული მხარის – მესხეთის კიდევ ერთი ნაწილი – ბათუმი და აჭარა შემოუერთდა. ილიას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მართალია ბერლინის საზავო კონფერენციამ ძველი ტრაპიზონის სამეფოს ზღვისპირა და შიდა ტერიტორიების ნაწილი კვლავ თურქეთს დაუბრუნა (ამიტომ არ უყვარდა ილიას ბისმარკი), მაგრამ რაც რუსეთს ამ კონფერენციით დაუკანონდა, ესეც დიდი მონაპოვარი იყო ახალციხის შემდეგ ძველი საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების გზაზე...

და რა საოცარი ტკივილი განიცადა ილიამ, როცა 300 წლის წინ დაკარგული ქართველების დაბრუნებას რაღაც გაუგებარი პროტესტით შეხვდა მაშინდელი ქართული საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი. ეს იყო ნამდვილი სიგიჟე და სიბრიყვე მაშინ. საქმე ხომ, იქამდე მივიდა, რომ ომისაგან გაჩანაგებულ–გაპარტახებულ მხარეში მაჰმადიან ქართველთა დახმარებას ნამდვილი ობსტრუქცია გამოეცხადა. შედეგად მუსლიმმა ქართველობამ მასობრივად იწყო თურქეთში გადასახლება. ,,ივერიის“ 1879 წლის თებერვლის ,,შინაურ მიმოხილვაში“ ილია გულისტკივილით წერს:

,,ხალხი ოსმალეთში გარბის! გაგონილა!... რა ამბავია, რა ამბავია?! ადამიანი კიდევ ადამიანია, თუ განადირდა, გამხეცდა, რომ გვერდით ადამიანს ვეღარ

იყენებს, ვეღარ იშვნევს, ვეღარ ითვისებს!... ეს დაუჯერებელი, ტვინის შემრყევი ამბავია ... ნუ იქმ მაგ სამარცხვინო საქმეს ქართველობავ ...“

ბრძენი და გონიერი კაცი აწმყოსაც კარგად ხედავს და აანალიზებს, მომავალსაც და წარსულსაც, საიდანაც მოდის ეს ყველაფერი ავიც და კარგიც ... ილიამ იცის, რომ – **„დიდებული ძველი მესხეთი საკვირველს, მედიდურს სანახაობას წარმოადგენს საქართველოს ისტორიაში... პირველად ქრისტიანობამ აქ მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებითა ჯერ კიდე წმინდა ნინოს მოსვლამდე ...**

თამარ მეფის შემდეგ, როცა ჩვენი ქვეყნის ერთობა დაირღვა ... ოსმალთა მიერ ბიზანტიის დაპყრობის შემდეგაც 1625 წლამდე სამცხე–საათაბაგოს მთავრებს მტკიცედ ეპყრათ ქრისტიანობა... 1625 წელს ბექამ მოწამლა თავისი ძმისწული, უკანასკნელი ათაბაგი მანუჩარ, გადაუდგა ქრისტიანობას, ქართველობას, მიიღო ორ–თუღიანი ფაშობა ოსმალთაგან და სახელად დაირქვა საფარ–ფაშა...

ეგრეთ–მძლავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა, შავით მოსულმა საქართველოს შავმა ბედმა განგვაშორა ჩვენ ძმები – ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი. დიდმა ღვაწლმა ბაგრატ მესამისამ, დავით აღმაშენებლისამ, თამარ დედოფლისამ უქმად ჩაუარა ერთობისა და ქრისტიანობისათვის სისხლდანთხეულს საქართველოსა.“

ეს ამონაწერი, ისე როგორც მთელი ეს ვრცელი სტატია – ,,ოსმალოს საქართველო“ და ამ თემაზე დაწერილი ათეულობით სხვა წერილები და სტატიები ილიას **,,საერთო ნიადაგის“** თეორიის ერთ–ერთი დიდი სამომავლო იდეისა და პრინციპის – **ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა ძმობისა და ერთობის დასაბუთება–გადმოცემაა.** ეს მისი დიდი რწმენაცაა, რომ ორ რელიგიურ აღმსარებლობად გათიშული ერი შესძლებს მონახოს შინაგანი ძალები თავისი ერთიანი ისტორიული და ფსიქო–გენეტიკური ფესვების მოძიებისა და გამოცოცხლებისათვის, ახლო თუ შორეულ მომავალში. ამიტომ წერს იმედიანად:

„სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავისის სარწმუნოებისთვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც ...არ გვაშინებს მეთქი, ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ კიდევ ერთმანეთს შევუერთდეთ“...

ილიას ისიც სწამს, რომ რაკი ,,ოქროვანი ხანა XIII საუკუნიდან ძნელბედობის უბედურებამ შეცვალა“, არ შეიძლება ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში ეს ,,ძნელბედობა“ კვლავ ჩვენი მომავალი ისტორიის **,,ახალი ოქროვანი ხანით“** არ შეიცვალოს. მისი ,,კარგი ქვეყნის“ მომავლის ეს ოპტიმიზმი ამ სტროფშიც არის გადმოცემული პოემიდან – ,,მეფე დიმიტრი თავდადებული“:

,,რაც ვყოფილვართ, ის აღარ ვართ!
რაც ვართ, ის ნულარ ვიქნებით.
ღმერთი გვიხსნის, თუ შვილთ მაინც,
გზად და ხიდად გავედებით!“

,,ბედნიერი მორიგება“...

ეროვნულთან ერთად ილიას აღელვებდა და აფიქრებდა საერთო–საკაცობრიო არაერთი პრობლემა. ერთ–ერთი მათგანი იყო მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთმიმართების პრობლემა. თვით მაშინდელ ევროპაშიც კი ფართოდ მოიკიდა ფეხი იმ აზრმა და შეხედულებამ, რომ სადაც მეცნიერებაა იქ სარწმუნოებას არაფერი ესაქმება და პირიქით. ის აზრიც დამკვიდრდა, რომ მეცნიერულ–ტექნიკური პროგრესი აღარ ტოვებს ადგილს რელიგიისთვის...

გაბრიელ ეპისკოპოსის ხსოვნისადმი მიძღვნილ სიტყვაში ილიამ არა მარტო ეჭვის ქვეშ დააყენა ეს, არამედ პირიქით, ის იდეა განავითარა, რომ კაცობრიობის მომავალი განვითარება და გარემომცველი სამყაროს შეცნობა ადამიანს შეუძლია მხოლოდ მეცნიერებისა და რელიგიის, – ცოდნისა და რწმენის ერთობლივი ძალისხმევით, ამ ერთი შეხედვით თითქოსდა **,,დაპირისპირებულ ძალთა ბედნიერი მორიგებით“**, ადამიანის სულიერი და მატერიალური საწყისების ორგანული მთლიანობით:

,,ქვეყანა ბატონებო, სავსეა ხილულითა და არახილულითა ადამიანის სულიერ და ხორციელ თვალისათვის. -- ბუნება ადამიანისა იმისთანაა, რომ სულთასწრაფვა ჩვენი ერთსაც ესწრაფვის და მეორესაც, ნება–უნებლიედ ამ ორ სამფლობელოში დადის მოუსვენრად გონება და გული ადამიანისა. ამ ორ სამფლობელოთა შორის შემაერთებელ ხიდსა სწნავს მარტო სიბრძნე, რომელიც ჩემის ფიქრით, სხვა არ არის რა, გარდა მეცნიერებისა და სარწმუნოების ერთმანეთში ბედნიერი მორიგებისა ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად“.

აქ ისიც უნდა ითქვას,რომ სწორედ ეს ზოგად–სოციოლოგიური და ზოგად–კაცობრიული იდეა და ღირებულება გახდა ,,საერთო ნიადაგის“ თეორიის მეთოდოლოგიაც და პოლიტიკურთან ერთად, ზნეობრივი კანონიც. მართლაც რომ ილიას მასშტაბები შეხვდა მცირე, თორემ ,,მსოფლიოს პრეზიდენტად გამოდგებოდა“...

ამიტომ ვწერთ ხოლმე ხშირად ილიაზე, რომ ეროვნულთან ერთად იგი ზოგადკაცობრიული ღირებულებების დიდი მოამაგე და მქადაგებელია. ეს შეიძლება ბევრს გადაჭარბებად მოეჩვენოს, მაგრამ ვინც ამ თემაზე ილიას

მემკვიდრეობას კარგად იცნობს, ის აუცილებლად დაგვეთანხმება. მარტო სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ მისი სიტყვა გავიხსენოთ, ანდა, ნოველა– ,,სარჩობელაზედ“...

,,საერთო ნიადაგის“ თეორიის ეს მეთოდოლოგიური პრინციპიც – **,,დაპირისპირებულ ძალთა ბედნიერი მორიგება ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად“,** მაშინდელი და თუ გნებავთ, დღევანდელი და მომავალი საკაცობრიო განვითარების ,,გზის გამკვალავია“. ამ მხრივ, იგი მარტო ,,ეროვნული იდეოლოგი“ კი არა, ზოგად–კაცობრიული იდეოლოგიცაა. ეს ცნებაც – ,,ზოგად–კაცი“ ილიას მიერ დიდი ქართული სიტყვის – ,,კაცის“ ხუთსახოვანი კლასიფიკაციიდანაა აღებული: სტატიიდან – **„აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი“:** ,,ზოგად–კაცი“, ,,ერის–კაცი“, ,,თემის–კაცი“, ,,გვარის–კაცი“ და ,,ოჯახის–კაცი“. ჭეშმარიტად რომ ილია ჩვენი დიდი,,ერისკაციც“ არის და ,,ზოგად–კაციც“. მისი მემკვიდრეობა ამ მხრივაც არის გასააზრებელი და დასაფასებელი ჩვენგან...

,,დეე, იქვე გაითხაროს სამარე ...“

თუ გაბრიელ ეპისკოპოსის ხსოვნისადმი ილიას სიტყვას უფრო ზოგად–კაცობრიული ღირებულება და განზომილება აქვს, 1895 წლის 20 მაისს ბანკის კრებაზე მის მიერ წარმოთქმული სიტყვა ერის–კაცობისა და პატრიოტიზმის ნიმუშად გამოდგება. აი, ამ სიტყვის მოკლე შინაარსი:

,,მე ბატონებო, გუშინ და გუშინწინ ვერ დავესწარი კრებას ბანკისავე საჭირო საქმის გამო. გაზეთებიდან და კრების ოქმიდან შევიტყვე, რომ გუშინწინ ჩემი ქება–დიდება მოგისმენიათ ერთი ორატორისგან. რაც ამ ორატორს უნებებია ჩემი უკადრისად ხსენება, მე ამას ყურადღებას არ ვაქცევ. ხოლო თქმულა ერთი რამ ისეთი, რომელმაც შეაძრწუნა ჩემი მამულიშვილური გრძნობა და ეს არ შემიძლია აღუნიშნავი დავტოვო. აქ ერთს ორატორს მეორეზედ უთქვამს: მოსული არისო და ჩვენთან არავითარი კავშირი აქვსო...

მე მთქმელთან საქმე არა მაქვს–რა, მე ვებრძვი აზრს ... ეს უთხრეს იმიერ ქართველს. როგორ? იმიერი ქართველი აქ, ჩვენს კრებაში, ამ ჩვენს საქართველოში მოსული, უცხოა და არა სახლი–კაცი, სისხლი და ხორცი იმ დიდი ოჯახისა, რომელსაც საქართველო ჰქვია?! ...

ეს თითქმის ექვსი საუკუნეა ... , რაც ჩვენნი უკეთესნი და უდიდესნი მამულიშვილნი იღწვოდნენ, რომ მკვდრეთით აღედგინათ ჟამთა ვითარებისაგან დარღვეული და დამხობილი ძმობა და ერთობა. მთელმა თაობამ XIX საუკუნისამ ამას შეალია თავისი ძალღონე (აქ ილია გულისხმობს ,,შეთქმულებს“ და ერთ–

ერთ მათგანს – ვახტანგ ორბელიანს ახსენებს კიდეც – ე.ბ.), აწ განსვენებულმა ვახტანგ ორბელიანმა მთელის თავისის მხურვალე გულისძგერით აღთქმად დასდვა და ანდერძად დაგვიტოვა, რომ ძმობა და ერთობა კლდეა და ამაზედ ააშენეთ თქვენი ბედნიერებაო. ამაშია ჩვენი იმედი, ჩვენი სასოება.

დღეს სხვას გვეუბნებიან. დღეს უნდათ ერთმა ნაწილმა საქართველოსამ მეორეს უთხრას: შენ ჩვენს შორის მოსული ხარო! ... ჩვენ ზურგი შეგვიქცევია ამ უკეთური აზრისათვის. დეე, ამ უკეთურმა აზრმა იქვე გაითხაროს თავისი საკადრისი სამარე და დაიმარხოს, სადაც დაიბადა და აკვანი დაიდგა“.

მაგრამ ტრაგედიაც ის იყო მისიც და მისი საქართველოსიც, რომ ეს ,,უკეთური აზრი“ არც მაშინ და არც მერე არ დაიმარხა. იგი დრო და დრო თავს წამოყოფს ხოლმე კვლავ ... აქ ისიც გვინდა ვთქვათ, რომ ილიას არაეთი საჯარო გამოსვლა ჰქონია ამავე თემაზე და თავისი ორატორული ხელოვნებით და რაც მთავარია, ,,მართლის სამართლით“ ვერავინ ბედავდა ხმა ამოეღო და დაპირისპირებოდა ეროვნული ერთობის ამ დიდ იდეას მის სიცოცხლეში. ამიტომ გადაწყვიტა ,,მესამე დასმა“ მისი როგორც ,,კლასობრივი მტრის“ იზოლაცია და სახელის გატეხვა. ზედიზედ გაჩნდა ფილიპე მახარაძის, პეტრე გელეიშვილის, ნოე ჟორდანიას და სხვათა ,,მამხილებელი წერილები და ფაქტები“ თუ როგორ დაუნდობელი და ,,,სისხლისმწოველი მებატონე“ იყო იგი.

მხოლოდ ამით აიხსნება ილიას თავისებური ინდეფერეტიზმი და განდგომა ,,ივერიიდანაც“ და ბანკის საქმეებიდანაც. XX საუკუნის მთელი პირველი წლები იგი უფრო კარჩაკეტილად ცხოვრობდა საგურამოში და მთლიანად გადაერთო ,,ავტონომიზაციის“ თავისი იდეის გასატანად იაპონიასთან ომით და რევოლუციით ძალამორყეული იმპერიის სახელისუფლო წრეებში, მაგრამ ეს იდეაც ცარიელ იდეად დარჩა ბოლოს ...

პეტერბურგიდან დაბრუნებულმა, 1907 წლის ივლის–აგვისტო უპირატესად საგურამოში გაატარა. იშვიათად თუ გამოჩნდებოდა თბილისში აქა–იქ შემორჩენილ თავის სამეგობრო წრეში. მათგან ყველა ერთხმად იხსენებს ნოსტალგიამომძლავრებული ილიას ბოლო, ყველაზე ამოჩემებულ სიტყვას წიწამურის გასროლამდე – **,,უმადურობა“.** დიახ, უმადურობის, დაუფასებლობა–დაუნახაობის მელანქოლია მოეძალა 70 წელს მიტანებულს, ასეთი ილია – ყველასაგან განდგომილი და მარტოსული, არავის ენახა მანამდე ...

,,მაშ, რაისთვისღა ცოცხალ ვართ?!“

სწორედ რომ სხვა ილია იყო მანამდე იგი, ის სხვა ილია, რომელმაც ცხოვრებაში ამ განცდით და მრწამსით შემოდგა ფეხი:

,,მას აქეთ რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,
ჰოი, მამულო გამიკრთა მე ძილი და შვება!
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,
ღამე თენდება ეგრეთ ჩემი და დღე ღამდება!“

30-იანი წლები – მისი ამქვეყნად მოვლინების დრო–ჟამი, მისივე სიტყვებით, ,,ყველაზე შავ–ბნელი წლები“ XIX საუკუნის საქართველოს ისტორიაში. მიხვდა ილია, რომ აჯანყებები და შეთქმულებები, ,,ჰკა მაგას“ პოლიტიკა სარგებელს არაფერს მისცემდა ხალხს და ქვეყანას, პირიქით, – ბოლოს გადაგვაშენებდა ... სავალი გზის შეცვლა იყო საჭირო აუცილებლად, მაგრამ მიზანი კი, უცვლელი კვლავ, ის რწმენა და მიზანი, 1832 წლის ,,სიტყვა–მოწოდებაში“ რომ გაჟღერდა:

,,ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვნდა საკუთარი თვისი მდგომარეობა და ხელმწიფება, საკუთარი ენა, რჯული და ჩვეულება, ხოლო აწ ჰხედავთა დამხობას და არარაობასა ჩვენსას?!

რაისთვის არს ესრეთ?

ნუ, უკვე ჩვენ არღარა ვართ შვილნი მამა–პაპათა ჩვენისათა?! ... ნუ, უკვე ჩვენ არღა ძალგვიძს მოვლა საკუთარისა მამულისა ჩვენისა?!...

მაშ, რაისთვისღა ცოცხალ ვართ?!“

ემოციურად უაღრესად დამუხტული ამ ,,სიტყვა–მოწოდების“ ავტორს – სოლომონ დოდაშვილს 1836 წელს ვიატკაში ამოხდა სული, მომდევნო წელს კი ქვეყანას მოევლინა კაცი, რომელმაც მთელი თეორია და იდეოლოგია შექმნა იმისა, თუ როგორ შევძლოთ ,,შენახვა საკუთარისა მამულისა ჩვენისა“. მასზე პასუხს შესწირა მან სიცოცხლე, ღვთისგან მოცემული ნიჭი და უნარი...

და თუ ამჯერადაც ვერ შევძელით ,,ჩვენი საკუთარი მამულის მოვლა“, მაშინ მართლაცდა, **,,მაშ, რაისთვისღა ცოცხალ ვართ?!“...**

ორიოდე სიტყვა „ივერიის“ რუბრიკებზე

ილიას მემკვიდრეობის ეს სქემატური ქარგა – ეროვნული იდეოლოგია, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული სახელმწიფო, რა თქმა უნდა, ამას იგი პირდაპირ და ცხადად ვერ დააფიქსირებდა. ამიტომ მას ეს ყველაფერი გაბნეული აქვს „ივერიის“ სხვადასხვა რუბრიკებში. ვისაც გაზეთის ეს რუბრიკები დაუმუშავებია, მას ემახსოვნება, ილიას ეს ჩვევაც – გარდა საპროგრამო წერილებისა, რომლებიც როგორც წესი, პირველსავე გვერდზე ქვეყნდებოდა ხელმოუწერლად. დანარჩენ გვერდებზეც ბევრია ისეთი სტატიები და წერილები,

რომლებიც ძალიან ხშირად ხელმოუწერელია. მაგრამ 80–90–იან წლებში დამკვიდრებული ტრადიციით, მათი ავტორიც მუდამ გაზეთის რედაქტორი იყო.

ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ რუბრიკებს, როგორებიცაა **„საპოლიტიკო მიმოხილვა“ „თემი და სოფელი“ „ცხოვრება და კანონი“ „ახლობელნი და შორებელნი“, „ხმა ევროპიდან“** და **„შინაური მიმოხილვა“.** მათ უნდა დავუმატოთ 900–იან წლებში მომრავლებული პოლემიკური წერილები „მესამედასელთა“ წინააღმდეგ და ჩვენ მივიღებთ მეტად მდიდარ და მრავალფეროვან მასალას „საერთო ნიადაგის“ თეორიის და მისი პრინციპების ანალიზისთვის. ეს კი ჩვენი მომავალი კვლევის საგანი და ამოცანაა...

დავითის „ძალისხმევის“ და თამარის „სათნოების ხაზი“...

ილიას ფიქრი და ოცნება ხშირად დასტრიალებდა **„ჩვენს დიდებულს ოქროვანს ხანას“,** იმას, რაც **„უწყალო დროთა ბრუნვით დანთქმულა“.** მაგრამ ესეც უნდა ითქვას:

ეს არ იყო მისი მხოლოდ მოგონებებით ტკბობა და ყველაფრით ამით **„მარტო ცარიელი გულის ფხანა“,** რამეთუ იცოდა თავის ოთარაანთ ქვრივის მსგავსად, რომ – **„გულის ფხანა ქეცმა იცის“...** ამიტომ ცდილობდა იქ ისეთი **„მაგარი ქვების“** მოძიებას, რომლებიც საძირკვლად გამოადგებოდა ახალი საქართველოს და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობას. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ სტატიაზე – **„ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ“** და იქ განვითარებულ ილიას იდეაზე **„კომლისა და ხოდაბუნების ერთიანი ეროვნული სამეურნეო კორპორაციული სისტემის ფორმირებაზე“,** მაგრამ **„საქართველოს შიდა–ცხოვრების“** ასეთ წმინდა ეკონომიკურ საკითხებთან ერთად, იგი მაშინდელი ქართული სახელმწიფოს გლობალურ პოლიტიკურ სტრატეგიაზეც ფიქრობდა, მის სამომავლო დანიშნულებასაც აანალიზებდა...

ამ ანალიზის შედეგია ის, რასაც XI–XII საუკუნეების საქართველოს ისტორიის 150 წლიან მონაკვეთს **„დავითის ძალისხმევისა და თამარის სათნოების ხაზის“** სახელდებით ვიხსენიებთ. ისტორიკოსთა წრეებში მასზე კამათი და დისკუსია ხშირად იმართებოდა, მათ შორის, ჩვენი **„ილიალოგთა კლუბის“** ეგიდითაც და ეს ყველაფერი თეორიული და მეცნიერული სახით ბოლოს ასეთი დასკვნით მთავრდებოდა:

ორივე ეს **„ხაზი“** ერთდროულად და ერთნაირად აუცილებელი კომპონენტია სახელმწიფოს განვითარება–ფუნქციონირებაში, ისინი მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის აუცილებელი შემადგენელი ელემენტებია. ქართული

სახელმწიფოც მაშინ დასუსტდა და მოიშალა, როცა ის 150 წლიანი ბალანსი ამ **„ორი ხაზისა“** დაირღვა ლაშა–გიორგის და მისი **„რინდთა პარტიის“** მიერ. პირუთვნელად წერს ამაზე გიორგი ბრწყინვალის ჟამთაღმწერელი. **„ძნელბედობაც“** არა იმდენად გარე–თავდასხმებმა გამოიწვია და ასაზრდოვა, რამდენადაც ამ **„ორი ხაზის“** დისბალანსმა, ქართულ სახელმწიფოს ის ილიასეული **„მაგარი ქვები“** ერთბაშად რომ გამოაცალა, შედეგად კი, **„ფუყე ქვები“** გაუმრავლა ჯერ ლაშა–გიორგის და რუსუდანის, მერე კი **„დავით ულუს“** და **„დავით ნარინის“** მეფობაში...

ილია და კავკასია

ილიას აღქმა და გაგება როგორც იდეოლოგისა და პრაქტიკოსი–მოღვაწისა, სრული არ იქნება, თუ მას ასე ვთქვათ, „კავკასიურ პროფილშიც“ არ განვიხილავთ. მითუმეტეს, რომ ეს ყველაზე ნაკლებად შესწავლილი მხარეა ილიალოგიაში და საერთოდ, ქართულ ისტორიოგრაფიაში...

„სტარიი კავკაზეც“ – ეს ილიას ბოლო ფსევდონიმია, რომლითაც იგი თანამშრომლობდა 1905–1907 წლების რუსულ ლიბერალურ–დემოკრატიულ პრესაში. ეს ცალკე შესასწავლი თემაა, მაგრამ აქ აუცილებლად მიგვაჩნია ავღნიშნოთ ილიას პოლიტიკური პრაგმატიზმის ის მხარე, რომლითაც გამოირჩეოდა ყველასაგან: მას კარგად ესმოდა, რომ კავკასია რუსეთისთვის ის **„წითელი ხაზი“** იყო, რომლის გადაკვეთის უფლებას იგი არავის მისცემდა – არც ირანს, არც თურქეთს, არც ევროპას. 1918–1921 წლებმა ნათლად აჩვენა ეს...

ერთადერთი გონივრული გამოსავალი რუსეთთან ერთად ისეთი **„კავკასიური პოლიტიკის“** გატარება იყო, რომელიც ერთი მხრივ, ამ **„წითელ ხაზს“** არ გადაკვეთავდა და ამდენად მისაღები იქნებოდა მაშინდელი თუ შემდგომდროინდელი რუსეთის იმპერიული პოლიტიკური ელიტისთვის და მეორე მხრივ, დასავლურ–ევროპული სამყაროსთვისაც. ამიტომ ცდილობდა ილია ასე აქტიურად და ენერგიულად თავისი **„ავტონომიზაციის პროექტის“** გატანას როგორც რუსულ **„ზაპადნიკურ“** წრეებში, ისე თვითონ ევროპაშიც ქართველი სოციალ–ფედერალისტების – ჩერქეზიშვილის, ჯორჯაძის, ზდანოვიჩ–მაიაშვილის, მიხაკო წერეთლის და სხვათა დახმარებით...

მაგრამ ილიამ იცოდა, რომ საქმის კეთილად დამთავრების თავი და თავი და საფუძველთა საფუძველი მაინც აქ, თვითონ კავკასიასა და კავკასიელებში იყო საძიებელი. ამ მიზნით არაერთხელ ჩავიდა ბაქოშიც, რათა **„მუსავატელების“** მეშვეობით ნიადაგი მოემზადებინა კავკასიის მაჰმადიანურ მოსახლეობასა და მათ ლიდერებში ერთიანი დემოკრატიული და მშვიდობიანი კავკასიის იდეის

განხორციელებისათვის. **„საერთო ნიადაგის“** თეორია ამ მხრივაც საჭიროებს პრაქტიკულ რეალიზაციას მაშინაც და დღესაც...

ასე გაჩნდა ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის წინ **„კავკასიის ნეიტრალიტეტის“** ლოზუნგები კავკასიური დილემის გადასაჭრელად. **„ნეიტრალიტეტის“** ამ იდეას შემდგომში განსაკუთრებულ პოპულარიზაციას უწევდნენ სოციალ–ფედერალისტები ანტანტისა და **„ერთა ლიგის“** დახმარებით, ვთქვათ ისეთი ლოზუნგებით, როგორებიცაა – **„კავკასიის შეერთებული შტატები“, „კავკასიური კონფედერაცია“, „ევრაზიური შვეიცარია“...**

– თურაშაულის პატრონი...

„ილიალოგთა კლუბს“ ტრადიციად გვაქვს – უცხო ქვეყნიდან მოსული კაცი, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის რაიმე კარგს და სახეიროს იტყვის, ვაფიქსირებთ ხოლმე და აი, ამ თხუთმეტიოდე წლის წინ საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა გერმანიის მაშინდელმა პრეზიდენტმა, პროფესიით იურისტმა რომან ჰერცოგმა პრესკონფერენციაზე ასეთი რამ განაცხადა:

– თქვენ სხვისი მისაბაძი და გადმოსაღები არაფერი გჭირთ, თქვენ რომ სახელმწიფო და სახელმწიფო სამართალი გქონდათ, მაშინ ძალიან ბევრ ერს მათზე წარმოდგენაც არა ჰქონდა...

ჩვენ რა თქმა უნდა, ეს გვესიამოვნა, მაგრამ ეს სიამოვნება ასმაგად გაიზარდა, როცა ამ ზოგად განცხადებას, კონკრეტივაც მოაყოლა:

– აი, მაგალითად, ვახტანგ VI და მისი კანონები... მე როცა სტუდენტი ვიყავი, შემთხვევა მოგვეცა შეგვესწავლა ისინი და იქ ბევრი ისეთი სამართლებრივი ნორმა ვნახეთ, რომლებიც ჩვენი განხილვისა და კვლევის ობიექტი გახდა. როგორც ვიცი, ქართული სამართლის ისტორიაში მანამდეც ბევრი საინტერესო ძეგლია, რომლებითაც ძველი ქართული სახელმწიფო ფუნქციონირებდა. ვფიქრობ, რომ მათი შესწავლა აუცილებელია – მემკვიდრეობითობა ხომ, ბუნებისა და საზოგადოების უნივერსალური კანონია...

ამ უკანასკნელი ფრაზის დასაგვირგვინებლად ჩვენი კლუბის მაშინდელ ოქმში ასეთი ჩანაწერიც გაგვიკეთებია:

– თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასა – ჭეშმარიტად რომ ასეც მოგვდის ხშირად...

„რა სცვლის, რა აახლებს, რას მიჰყავს წინ ცხოვრება!“...

„საქართველოს მოამბეში“ დასმულ ამ კითხვას ილია მეტად ლაკონურად – ორი სიტყვით პასუხობს: **„ცოდნასა, მეცნიერებასა!“** – მაგრამ რა არის თვითონ ეს **„მეცნიერება?“** – და აქაც ილიასებური ლაკონიზმი – **„ეგ ულევი სალარო კაცის სიბრძნისა“...**

მაშ ასე – ილიასთვის **„კაცთა ცხოვრების“,** მთელი კაცობრიობის პროგრესის სათავე და **„ბალავრის ქვა“** მეცნიერებაა – კაცის სიბრძნისა და გონიერების ეს **„ულევი წყარო“...** და აქ ილია ერთ პატარა საიდუმლოსაც გვიმხელს – იმას, თუ რა ავსებს და ამდიდრებს ამ **„სალაროს“:** თუ ცხოვრება **„ჯანსაღი და სისხლსავსეა“,** თვითონ ეს ცხოვრება არის ამ **„სალაროს“** შემავსებელი, თანაც ისე, რომ რამდენიც გინდათ არ დავხარჯოთ, არათუ არაფერი მოაკლდება, არამედ პირიქით – სულ უფრო მეტად და გულუხვად შეივსება...

მაგრამ საქმეც ამ **„ჯანსაღ და სისხლსავსე ცხოვრებაშია“:** თუ იგი არ იქნა, არც ეს **„სალარო“** იქნება: ლუარსაბ თათქარიძენი და გლახა ჭრიაშვილები მას ვერასოდეს ვერც შექმნიან და ვერც შეავსებენ...

ილია და ევროპა

არ არსებობს ჩვენი ეროვნული ცხოვრების არცერთი სფერო, ილიას რომ თავისი კვალი არ დაეჩნია მასზე საქმით თუ კალმით. რუსეთის კვალდაკვალ კაპიტალიზმმა, ევროპულმა კულტურამ და განათლებამ საქართველოშიც მკვიდრად გაიდგა ფესვი. თბილისიც თანდათანობით ევროპული ქალაქი ხდებოდა...

მაგრამ ილია იმასაც ცდილობდა, რომ ამ პროცესს ჩვენი ეროვნული ცხოვრება და ტრადიციები არ ჩაეკლა და შემთხვევას არ უშვებდა ბანკის მეშვეობით ხელი წაეშველებინა ყოველივე იმისთვის, რაც მას ეროვნული ცხოვრების პოზიტივად მიაჩნდა. ასეთი რამ კი, ძალიან ბევრი რამ აღმოჩნდა – „ვეფხისტყაოსნით“ და ფოლკლორით დაწყებული თუ ქართული თეატრით და სპორტით დამთავრებული.

როცა ევროპაში კუბერნეტმა ბერძენთა ოლიმპიური მოძრაობის აღდგენის იდეა წამოაყენა, ილიამ ამ მხრივაც გამოძებნა ეროვნული ფესვები და ტრადიციები: თბილისში რეგულარულად აწყობდა ცნობილ ფალავანთა შეჯიბრებებს და კარგ ჯილდოებსაც აწესებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მათ მოსაზიდად. ყაბახი, ლელო, ცხენბურთიც გაიხსენა, **„კავკასიის ოლიმპიური თამაშები“** – ეს იდეაც დაიბადა მაშინ...

ევროპიდან განათლებამიღებულ ქართველებს მუდამ იმისკენ მოუწოდებდა, რომ ქართულთან შეეჯერებინათ ყოველივე ის, რაც ევროპაში მიიღეს და შეითვისეს. ჩვენს ძველ ისტორიაშიც ყველგან **„ნაადრევი ქართული რენესანსის“** კვალს ნახულობდა, ეს პირველ რიგში რუსთაველის ჰუმანიზმი და ტოლერანტიზმი იყო. სიამოვნებდა, როცა ასეთ ფაქტებს მოიძიებდა ამ **„დიდებულის ეპოქიდან“** იმის დასამტკიცებლად, რომ ისტორიულად საქართველო ევროპული განვითარების გზას ადგა, ევროპული რენესანსის შემადგენელი ნაწილი იყო და შეიძლება რომ მასზე ადრეც – სად იყო ევროპა, როცა თამარ მეფემ სიკვდილით დასჯა აკრძალა, – უყვარდა ამის თქმაც და არცთუ უსაფუძვლოდ...

ამიტომ იყო, რომ ვერ იტანდა **„მესამედასელთა უცხო ბაძის სენს და თუთიყუშურ გადმოძახილს“...** იმასაც არაერთხელ ეცადა, რომ ეროვნულობისკენ შემოეტრიალებინა ისინი. აკი, თავის „ივერიასაც“ კი აძლევდა მათ, კერძოდ ევროპიდან დაბრუნებულ ჟორდანიას – უკვე მაშინ **„ქართველ მარქსად“** აღიარებულს, ოღონდაც სოციალურთან და ინტერნაციონალურთან ერთად, ეროვნულსაც ნუ დაივიწყებო: ევროპასაც მალე მობეზრდება ეგ რევოლუციები და ჩვენისთანა პატარა ერისთვის ხომ მთლად დამღუპველია რევოლუციები და სისხლისღვრებიო...

ესეც უცილობელ ჭეშმარიტებად მიაჩნდა – ერს მუდმივი მტრები და მეგობრები არ ჰყავს – მას მხოლოდ მუდმივი ეროვნული ინტერესები აქვს, ისინი არასოდეს არ უნდა იცვლებოდეს... ყველაფერი ეს დღეს გვაგონებს ერთ ამერიკულ ანდაზას **ist or west, home is best,** რომელიც დაახლოებით ასე ჟღერს – კარგია ამქვეყნად ყველგან, მაგრამ ჩემს სახლზე უკეთესი არაფერია. ჩვენც ხომ გვაქვს სხვებზე არანაკლები „ჩვენი სახლი“?!...

– „მე სწორედ რომ კამეჩის ხასიათი მაქვს...“

ილიას ჩვენს ეროვნულ ხასიათზეც, არაერთი დაკვირვება აქვს – **„ათასნაირი გვირისტით არის იგი ნაქარგი, ხან აბობოქრებული ზღვაა, ხან კი, დახავსებული და უძრავი ჭაობი... ძალიან მჭერმეტყველი და ბრძენი კალამი უნდა ამ გვირისტის ამოცნობასა“.** თავის **„საქართველოს გულში“** ლაისტი ამ მხრივაც იხსენებს სხვადასხვა ფაქტებს. სხვადასხვა ერების ხასიათზეც თავისი დაკვირვება ჰქონდა და ქართველების მათთან შედარებაც უყვარდა – წერს იგი...

ილიას ბავშვობიდანვე თიაქარის ავადმყოფობა აწუხებდა, რაც ეტყობა დიაბეტშიც გადაეზარდა. მაშინ ეს ავადმყოფობა კარგად შესწავლილი არ იყო და ლაისტმა ურჩია ბერლინში ერთ ცნობილ ექიმთან წასულიყო სამკურნალოდ. იქიდან ილია ერთ საინტერესო დაკვირვებას წერს ოლღას: ხომ გახსოვს

ბისმარკის გამო გერმანელები არ მიყვარდა, – ევროპაში საქმე ომისკენ მიჰყავთ, ინგლისელებს ვარჩევდი მაგათ, მაგრამ რაც ახლა აქ მე ვნახე, საოცრებაა – ქართველებს რომ ამათი დისციპლინისა და ორგანიზებულობის ნახევარი მაინც გვქონდეს, ძაღლი არ დაჰყეფდა ჩვენს ბედს. აი ეროვნული ხასიათი ამას ჰქვია...

ილიამ იცოდა, რომ ხასიათს ვერავინ ვერ შეცვლის და გამოასწორებს, თავის ჯიუტობასა და უხეშობაზეც ამბობდა, რა ვქნა უძლური ვარ, თანდაყოლილია ესეც... განსაკუთრებით არ უყვარდა ეს ჩვენი ეროვნული სენი – დაგვიანება. ხშირად იტყოდა – დაგვიანება გვიყვარს ქართველებს და ამის მაგალითად ბარათაშვილის გენიალურ სტროფსაც იშველიებდა არაგვის ხეობაში მოქეიფე ქართველზე – **„... და მერმე თუნდაც დაუგვიანდეს, იგი ამისთვის არა დაღონდეს“.** ილია იუმორის მოყვარული კაციც იყო, თავისთავზეც ხშირად უყვარდა ხუმრობა და ამ მხრივაც არტურ ლაისტი იხსენებს მის ერთ იუმორს:

„მე სწორედ რომ კამეჩის ხასიათი მაქვს – ჯერ არ გავიწევ, მაგრამ თუ გავიწიე, ვერაფერი და ვერავინ შემაჩერებს“. ამასაც იგი საერთო – ეროვნულ ხასიათს უკავშირებდა. მხატვრულადაც გადმოსცა ეს „ოთარაანთ ქვრივის“ არაერთ ეპიზოდში... ეს ილიასეული „გაწევაც“ ხომ იმ „დაგვიანების“ ფენომენზეა „გვირისტივით“ ამოქარგული და ამოზრდილი. ფოლკლორშიც აისახა ეს ამ ცნობილი ლექსით:

„კამეჩი წევს და იცოხნის,
თავი სიზმარში ჰგონია,
ლაფში ჩაფლული ურემი
შინ მიტანილი ჰგონია“.

ფოლკლორსაც ილია ხშირად ხმარობდა მხატვრულ შემოქმედებაშიც და პუბლიცისტიკაშიც. ამ მხრივ სტატისტიკასაც თუ მოვიშველიებთ, „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმებთან ერთად, ფოლკლორი ილიას ყველაზე დიდი და გამოყენებადი არგუმენტია... ზემოდაღნიშნული სტროფიც იმის სიმბოლიკად და მინიშნებად შეიძლება გამოდგეს, რომ დღევანდელ „დაგვიანებულ ქართველთა“ თაობებს ბევრ მხრივ, „თავი სიზმარში გვგონია“ – „ლაფში ჩაფლული“ ურმის სახლში მიტანას კი მაინცდამაინც არავინ ვჩქარობთ...

„მე ილია უმდიდრესი კაცი მეგონა“...

ხშირად ასეთ „უცნაურ“ კითხვას რომ დავსვავთ – ვიცნობთ კი ილიას?, პასუხად პროტესტის მყისიერ რეაქციას ვიღებთ: რას ჰქვია „ვიცნობთ“ – რა კითხვაა ეს?!... **„ილიალოგთა კლუბს“** რაერთხელ გვქონია ამაზე უსიამოვნო საუბრები...

ჩვენ კი მაინც ჯიუტად გავიმეორებთ: სამწუხაროდ ჯერ კიდევ არ ვიცნობთ მას არა მარტო როგორც ეროვნულ იდეოლოგს, არამედ უბრალოდ, როგორც კაცს. სარწმუნებლად იაკობ გოგებაშვილს მოვიშველიებთ. იგი წერს:

„მე ილია უმდიდრესი კაცი მეგონა და რას წარმოვიდგენდი, რომ ბანკს რომ მისთვის პენსია არ დაენიშნა, სიბერეში შიმშილობას გამოცდიდა“.

მართლაც, ილია და ოლღაც ამ პენსიის წყალობით ცხოვრობდნენ მკვლელობამდე 6 წლის მანძილზე (ალბათ, ყველაზე დამსახურებული პენსია, რაც კი ოდესმე საქართველოში დანიშნულა!), გურამიშვილების მათი საგურამოს მამულის შემოსავალი თვითონ საგურამოს სახლის შენახვას თუ კმაროდა და მისი მშენებლობისთვის გამოტანილი ბანკის სესხიც ჯერ კიდევ სრულად არ ჰქონდათ დაფარული. ილიას 5 დედ–მამიშვილიდან შემორჩენილი ერთადერთი დის დახმარებაც, თავის მოვალეობად მიაჩნდა...

ილიამ არა და მისმა მეუღლემ კი შიმშილობა ნამდვილად გამოსცადა, შიმშილობაც და დევნა – შევიწროება–დამცირებაც ათასგვარი, სანამ იგი 1927 წლის 27 აპრილს აღესრულებოდა. იგი შეგნებულად წავიდა ყველაფერ ამაზე. ამ დიდებულმა ქალმა იმ უბედურების ჟამს ქართველი ქალის ხასიათის ყველა დიდი ღირსება და კეთილშობილება გამოამჟღავნა:

მკვლელთა შეწყალება მოითხოვა, რაკი ილია სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგე იყო, თბილისის და საგურამოს ბინაც „წერა–კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გადასცა თავიანთი უძრავ–მოძრავი ქონებით, თვითონ კი მთაწმინდის უბანში ერთ ბნელ ოთახში დაიდო ბინა ქმრის სიახლოვეს. ამ უბნის ძველი მაცხოვრებლების გადმოცემით, აქაურებს დღესაც ახსოვთ მოხუცი ოლღა როგორ მიუყვებოდა ყოველდღე აღმართს, ილიას საფლავს პატრონობა და ყურადღება რომ არ მოკლებოდა...

ის 20 წელი ილიასავით ჯვარს აცვეს ისიც „მესამე დასის“ ორივე ფრთამ – ჯერ მენშევიკებმა და მერე ბოლშევიკებმაც. მთელი ამ ხნის მანძილზე არ შენელებულა პასკვილების წერა **„თავად–აზნაურული რეაქციის ბურჯისა და კლასობრივი მტრის“** წინააღმდეგ, ლამის საფლავიდან ამოღებას უპირებდნენ, სწორედ ოლღას გარდაცვალებისას დაბეჭდეს კვლავ ფილიპე მახარაძის ცნობილი წერილი **„გულქვა და კაცისმკვლელი მებატონის“** სამხელად, წიწამურის ტრაგედიის სიგნალი რომ გახდა ესეც ალბათ, თავის მართლებად თუ სჭირდებოდათ დემაგოგიის დიდოსტატებს და კაცისმკვლელებს...

უკვე 80 წელს გადაცილებულ ქალს კი ახალ–ახალ დარტყმებს არ აკლებდნენ და ოლღაც თითქოს გაქვავდა და გაკაჟდა, ყველაფერს იტანდა ღირსეულად და ამაყად, რამეთუ უაღრესად ეკლესიურ და ღვთისნიერს სწამდა – სანთელ–საკმელი თავის გზას არ დაკარგავდა... წუთისოფლის დასასრულს მიახლოებული კიდევ ერთხელ გაამწარეს – ილიას დისშვილი, მისი ერთადერთი

პატრონი და მომკითხავი, დაუხვრიტეს, ისიც, როგორც ბიძამისი, **„ხალხის მტრის“** ბრალდებით, ბიძა – დისშვილის მკვლელებს კი პერსონალური პენსიები ჩამოურიგეს **„რევოლუციის წინაშე დამსახურებისთვის“...**

თვითონ ოლღას საიდუმლო თვალთვალი დაუწესეს, აქა–იქ შემორჩენილი ილიას მეგობრები და ახლობლები ხელისუფლებისაგან მალულად თუ აწვდიდნენ საჭმელ–სასმელს შიმშილისაგან კიდევ უფრო დაუძლურებულ 85 წლის ქალს. ისინი რამდენჯერმე მკაცრად გააფრთხილეს – მასთან სტუმრობას თავი ანებეთო... ასე მიიყვანეს შიმშილით და რეპრესიებით სიკვდილის პირზე...

უკანასკნელად აიტანა გაზაფხულის იები ქმრის საფლავზე – ილიას ხომ გაზაფხული და იები განსაკუთრებულად უყვარდა... სწორედ, გაზაფხულზე, აპრილის თვეში მოხდა მათი ჯვრისწერაც, 44 წელი იცხოვრეს ღირსეული თანაცხოვრებით, უღელი არასოდეს ჩამოუგდია ქრისთვის, უხმოდ გრძნობდა მის სულის სიმებს – რა ბედნიერი იყო პოემა „განდეგილი“ რომ უძღვნა... ლაისტი მას მსოფლიო პოეზიის შედევრს უწოდებდა. ზეპირად ახსოვს ახლაც კი, თითქმის მთელი პოემა – ჰიმნი. კაცის ცხოვრების არსისა და აზრისა, მისი ამქვეყნიური დანიშნულებისა; ამით კი ორივე მეუღლენი მდიდრები იყვნენ მართლაც... მეტი სიმდიდრე ამქვეყნიდან არ წაუღიათ არც ერთს და არც მეორეს...

„ეხლაც ომია, ხოლო სისხლისღვრისა კი არა“...

1897 წლის 31 დეკემბრის საახალწლო – საპროგრამო წერილში – „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“, ილია წერს:

„რა არ გადაგვხდენია თავს... და ყველას გავუძელით რჯულიანსა და ურჯულოსა... ხმლიანმა მტერმა ვერ წაგვართვა ჩვენი ქვეყანა, შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეულნი კი თან გაგვიტანს... და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, ვითარცა უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან...

ეხლაც ომია, ხოლო სისხლისღვრისა კი არა, ოფლისღვრისა... ამ ომში ვაჟკაცობა ბევრად წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნაღარა, უბუკ–ნაღაროდ სთესავს, უბუკ–ნაღაროდ მკის... ქვეყანა დღეს იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაღვაწს, ვინც უფრო იზოგავს ნაშრომს“...

ილია კაპიტალიზმის პირობებში წარმატების უპირველეს პირობად „ნაღვაწ–ნაშრომის“ ამ **„გაფრთხილება–გამოზოგვას“, „მომჭირნეობას“** მიიჩნევს და ამ გზით „ქონების დაგროვებას“ სიმდიდრისა და სიკეთის გასამრავლებლად და არა „გაუმაძღარის სტომაქისთვისა“ ... ბოლოს კი სვავს ასეთ რიტორიკულ კითხვას: **„დღევანდელი დღე ამას გვეუბნება, ამას ჰღაღადებს და გვესმის კი ჩვენ**

ეს? – ვაი, რომ არა... არ ვიცით, რანი ვყოფილვართ, არ გვესმის, რანი ვართ, ვერ გამოგვისახია, რანი ვიქნებით... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“

„მე არ მეგონა თუ ილია ჭავჭავაძეს ამაზეც ამდენი ნაფიქრი ჰქონდა“...

ეს ციტატა ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის, როცა მან ძალიან გვიან – 1938 წელს მისი მემკვიდრეობის კვლევას მოჰკიდა ხელი აქტიურად. ეს რა თქმა უნდა, ივანე ჯავახიშვილის ბრალი არაა – ის ხომ საოცარი შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა: 1918 წელს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მას ფაქტიურად ილიას მემკვიდრეობის კვლევის საშუალება არც მისცემია.

ამასთან, ისიც ხომ, ვითარცა **„შავი პროფესორი და ბურჟუაზიული იდეოლოგი“** თვით მის მიერვე დაარსებული უნივერსიტეტიდანაც გააძევეს და შინაპატიმრობაც განუწესეს. ჟურნალ **„შპიგელის“** სტატიის გამო, რაღაცნაირი ბედისწერით ისე მოხდა, რომ კრემლში მოვლენების უცნაური განვითარებით ივანე ჯავახიშვილის და ილიას რეაბილიტაცია დროში თითქმის ერთმანეთს დაემთხვა – სტალინის უზენაესი ბრძანებით სწორად მას დაევალა ჩვენი ქვეყნის ისტორიის წარმოჩენაც, არა როგორც **„ბარბაროსი ერისა“,** როგორც ამას ხსენებული ჟურნალი ამტკიცებდა მაშინ, არამედ როგორც უძველესი კულტურული ერისა...

კაცის ბედის ასე შეცვლა ყველაზე მძაფრსიუჟეტიან რომანში თუ უნახავს კაცს: კაცი, რომელიც დღე–დღეზე დახვრეტას ელოდა, უცბად ყველა სახელისუფლო რეგალიებით შეამკეს, რექტორობა, ჩინ–მედლები და ორდენები, დეპუტატობა, აკადემიკოსობა, აგარაკი კიკეთში, საარქივო და სხვა ნებისმიერი მასალებით მომარაგება და მომსახურება ერთბაშად ორი პერსონალური მანქანით. ამაზე მართლაც რომ მთელი ნოველა დაიწერება...

ასე გაჩნდა ივ.ჯავახიშვილის საწერ მაგიდაზე ილიას შრომებიც და „ივერიის“ თუ სხვადასხვა საარქივო მასალებიც, შედეგად კი ხსენებული მონოგრაფია – პირველი ნაშრომი ჩაფიქრებული ციკლიდან – **„ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“**. რაც შეეხება ამ წერილის სათაურად გამოტანილ ბ–ნ ივანეს გაკვირვებას, იგი ეხება დრეპერის ცნობილ „ერის დაბერების“ თეორიას, რომელიც რუსულ პრესაში („სევერნიი ვესტნიკ“) და ქართველის ავტორობით (ივანე ჯაბადარი) საქართველოს ისტორიას და ქართველ ერს, როგორც „დაბერებულ ერს“ მიაბეს და დაუკავშირეს. ივანე ჯავახიშვილს უკვირს, როგორი პასუხისმგებლობით მისდგომია ილია დრეპერის თეორიის შესწავლას, სანამ მასზე პასუხს დაწერდა და დასკვნას გააკეთებდა:

„ჩვენს ავტორს, – წერს ილია, რაკი უცხოელია, უწამებია ეს აზრი დრეპერისა, ევროპაშიც უკვე დაძველებული და ბევრთაგან გამტყუნებული... რას გვიქვიან „ერის სიბერე!“. აიღეთ ახლანდელნი ერნი ინგლისისა, საფრანგეთისა, გერმანიისა, იტალიისა... რომელია აქედან დაბერებული და სიკვდილისთვის განწირული?! თურმე ნუ იტყვით – „სრული ინტენსიური ცხოვრება“ ერს აბერებს, „ღონისაგან სცლის“, ესე იგი, ასუსტებს, მაშასადამე, არაინტენსიური ცხოვრება კი – აძლიერებს!... გაგონილა ასეთი აბდა–უბდა“...

დიახ, ბატონებო, რომელიმე უცხოელის აზრი, იდეა თუ თეორია ილიასთვის არასოდეს ნიშნავდა მაინცდამაინც, სიბრძნისა და ჭეშმარიტების უცილობელ და უკანასკნელ საზომს. მას შემოქმედმა დაანათლა საკუთარი განსჯისა და ანალიზის ის უნარი და ძალა, რომელიც მას ასეთ უცილობელ ჭეშმარიტებამდე მიიყვანდა. სწორედ ამით იყო გაკვირვებული და აღფრთოვანებული ივ.ჯავახიშვილი. აქ გვინდა კიდევ ერთი მაგალითი მოვიყვანოთ ამის საილუსტრაციოდ: „ივერიის“ ექვს ვრცელ წერილში ილია აანალიზებს „ევროპიულად და ქართულად ღვინის დაყენების წესს“, აჩვენებს როგორც ერთის, ისე მეორის დადებით და უარყოფით ტექნოლოგიურ მხარეებს. ამასთან გაკვირვებას იწვევს ის, რომ ყველა ამ წერილში მოჰყავს ამ საქმის მეცნიერებისა და პრაქტიკოსების უამრავი გამონათქვამები და მტკიცებულებები როგორც ევროპიდან, ისე რუსეთიდან თავისი საბოლოო დასკვნის გასაკეთებლად: ტექნოლოგიურად ევროპული მართალია წინ არის, მაგრამ კაცის ჯანმრთელობისთვის ქართული უფრო სასარგებლოა, რამეთუ „მასში მეტია ბუნებრიობა, ვიდრე ქიმია და ხელოვნურობა“.

ნოსტალგია – ქართული ხასიათის მრავალთაგან კიდევ ერთი „გვირისტი“

თვალცრემლიანი და მტირალი ილია!, – რაღაც გაუგებრობა და აბსურდია – იტყვით... ალბათ არავინ დაიჯერებს ამას, ვისაც ილიას ხასიათზე ოდნავი წარმოდგენა აქვს. მაგრამ ფაქტს საით წაუვალთ:

რუსეთიდან დაბრუნებულ ილიას დარიალის ხეობაში დახვდნენ ოლღა, ლაისტი, ხიზანიშვილი და „ივერიის“ სხვა თანამშრომლებიც. ვლადიკავკაზიდან მომავალი ეტლი რომ დაინახეს, დამხვდურებმა თავიანთი „ფაეტონებით“ გზა გადაუჭრეს – ილიას თავისებური სიურპრიზი მოუწყეს და აქ ლაისტი საოცარ სცენას სთავაზობს მკითხველს თავის მემუარებში – **„საქართველოს გული“:**

ეტლიდან რომ ჩამოვიდა და დაგვინახა, ილიამ თავი ვეღარ შეიკავა და ცრემლებად დაიღვარა. არცა მალავდა თავის ამ ყოფას, ან, სად დამალავდა?!...

მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ კი, როცა დამშვიდდა, მისებურად გულღიად გამოგვიტყდა:

– ყმაწვილკაცობაშიც მქონდა ეს გრძნობა – სამშობლო მიწის ნოსტალგია – მონატრება და მოძალება მაგრამ არა ასე მძლავრად. ეტყობა სიბერეში უფრო მომეძალა... რას ვიზამ – ასაკი ასაკია...

ილია, ნილს ბორი და მოჰამედ ჰათამი...

ეს შემთხვევა **„თსუ ილიალოგთა კლუბის“** და **„რუსთაველის საზოგადოების“** ერთ–ერთ ერთობლივ ღონისძიებაზე მოხდა, სადაც **„საერთო ნიადაგის“** თეორიის უნივერსალური მეთოდის – **„დაპირისპირებულ ძალთა ბედნიერი მორიგების“** საკითხს ვიხილავდით...

კლუბის ერთ–ერთმა წევრმა, ფიზიკოსმა ანზორ ხელაშვილმა გაიხსენა 1961 წელს ცნობილი ფიზიკოსი–ნობელიანტის ნილს ბორის სტუმრობა საქართველოში და მის მიერ ლათინურ ენაზე დაწერილი თეზა–ფორმულა, რომელიც დღესაც თსუ ფიზიკის დიდ აუდიტორიაში ინახება: **„დაპირისპირებულნი ურთიერთგამომრიცხავნი კი არა, ურთიერთშემავსებელნი არიან“!...** ამ ფაქტს მერე ჩვენ სპეციალური სტატიაც მივუძღვენით მეტად სიმბოლური სათაურით: **„ორი დიდი გენიოსი მოაზროვნის იდეური თანხვედრა“...**

ამავე შეხვედრაზე ბატონმა მიხეილ ქურდიანმა თანამედროვე ირანის ერთ–ერთი დიდი ჰუმანისტი მოაზროვნის – მოჰამედ ჰათამის თხზულებაც გაიხსენა, რომელიც კულტურათა და ცივილიზაციათა შორის დიალოგის პრობლემას ეხება: **„ცივილიზაციათა დაპირისპირებისა და შეჯახების ნაცვლად, მათ შორის დიალოგი და ბედნიერი მორიგება“** – ასეთია ჰათამის ამ თხზულების არსი...

აქვე გადაწყდა, რომ ამ წიგნზე გამოხმაურებასა და რეცენზიასთან ერთად, შეგვედგინა ტექსტი ჰათამისადმი იმ წინადადებით, რომ თბილისში ჩაგვეტარებინა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ამ პრობლემაზე. მაგრამ მალე სამწუხაროდ, მოჰამედ ჰათამს ირანში დევნა დაუწყეს და ეს კონფერენციაც ჩაიშალა მიუხედავად მისი და ჩვენი დიდი სურვილისა...

მაგრამ ამ შემთხვევაშიც ეს დიდი ჰუმანური იდეა ხომ კვლავაც იდეად რჩება?!... და ჩვენ გვწამს, რომ იგი კვლავ ასეთ იდეად დარჩება შემდგომ საუკუნეებშიც, რამეთუ – **„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“...**

„დაპირისპირებულ ძალთა ბედნიერი მორიგების“ ილიასეული იდეაც ხომ ამას ეხმიანება?!...

„ლხენა“ და „ლხინი“:

ჩვენი ეროვნული ხასიათის კიდევ ერთი „გვირისტი“

გრიგოლ რობაქიძეს მთელი ლიტერატურული ესსე და ფილოსოფია აქვს აგებული ამ ორ ქართულ სიტყვაზე – **„ლხენა“** და **„ლხინი“**. ამ წუთისოფლად მოსული ქართველის ცხოვრება ბევრწილად მათ შორის ტრიალებს: ქართველის ფსიქიკაში მკვიდრად ზის ეს – ერთი სული აქვს რომ თავისი სიხარული და ლხენა ლხინში გადაზარდოს და იგი სხვებსაც გაუზიაროს...

ილიასაც უყვარდა ლხენა–ლხინის ეს რიტუალი, უარს არასოდეს ეუბნებოდათ მოპატიჟეებს რედაქციის, ბანკის თუ სხვა ნებისმიერი წარმომადგენელნი იქნებოდნენ ისინი, თუ სხვა ნებისმიერნი, – მთელ საღამოს სიამოვნებით ატარებდა მათთან... არაერთი ასეთი ფაქტებია ასახული ილიას თანამედროვეთა მოგონებებში. ამჯერად ორ მათგანს ავღნიშნავთ:

სუფრაზე ილიას ყველაზე კარგი მოლხენა და სიამოვნება მაინც ქართული სიმღერები იყო: ღვინის სმა მაინცდამაინც არ უყვარდა, მაგრამ ცოტა ბახუს თუ მიიღებდა, მაშინ გაბედავდა თვითონაც აჰყოლოდა **„პროფესიონალ მომღერლებს“** – ხმა არ ჰქონდა, მაგრამ სურვილი მაინც დაძლევდა ხოლმე. ამ დროს ნიკო ხიზანიშვილი, რომელსაც იუმორის დიდი ნიჭი ჰქონდა და ილიასთანაც შეხუმრებული იყო, ილიას მიმართავდა – ილია, გაჩუმდი თუ საცი ხარ, – არ დაგვღუპო, მშვენიერი სუფრაა და არ ჩაშალო და არ ჩაგვაშხამოო... ილიაც სხვებთან ერთად გულიანად იცინოდა...

მეორე იუმორი თვითონ ილიას ეკუთვნის: დავით სარაჯიშვილმა მოიწადინა, რომ შეექმნა **„ქართველთა ერთობის ფონდი“** და ამით უნდოდა სოკოებივით მომრავლებული პარტიები რამენაირად გაერთიანებინა. კარგა მდიდრული ბანკეტიც გააკეთა ამ შეხვედრისთვის და ილიას სთხოვა გასძღოლოდა შეხვედრასაც და ბანკეტსაც...

თავიდან ყველაფერი ნორმალურად წარიმართა, მაგრამ მერე რომ იტყვიან, – მონასტერი აირია, აირია და ისე აირია, რომ ამის მაყურებელ ილიას მაშინვე შაჰ–აბასის წყევლა გაახსენდა და იქ მყოფთაც შეახსენა – **„ღმერთო, ქართველებს ერთ პირს ნუ მისცემ“**!, ნირწამხდარ მასპინძელს კი ასეთი **„დამამშვიდებელი დიდაქტიკით“** მიმართა: მე მთელი სიცოცხლე ამას ვესწრაფვი და შენ ერთ საღამოს და ერთი ბანკეტით გინდა ამის მიღწევა?!... არა უშავს, მეორე ბანკეტისთვის უფრო კარგად მოვემზადოთო – რა იცი, იქნებ იმჯერზე მაინც გაგვიმართლოს, ხანდახან ხომ, ამქვეყნად სასწაულებიც ხდება...

„ველს მშვენიერსა ჩასძინებოდა...“

ხშირია ხოლმე ჩვენში კამათი – ილია უფრო მწერალი და პოეტია, თუ პუბლიცისტი და იდეოლოგი. „ილიალოგთა კლუბშიც“ არაერთი სხდომა და დისკუსია მიუძღვნა ამას. ჩვენ უფრო „იდეოლოგის“ მიმართულებისკენ ვიხრებით და საამისოდ გვაქვს საკმაო არგუმენტებიც. პირველი და უმთავრესი „საერთო ნიადაგის“ თეორიაა.

მხატვრული სიტყვაც და პუბლიცისტიკაც ილიას სწორედ ამ თეორიის სამსახურისთვის ჰქონდა მუდამ მიმართული. ამ მხრივ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად **„ქართვლის დედა“**, **„აჩრდილი“** და **„ოთარაანთ ქვრივი“** მიგვაჩნია. გავიხსენოთ როგორ იწყება ეს ნოველა – **„იმ ვეებერთელა სოფელში, რომელსაც თუნდაც „წაბლიანს“ დავარქმევ...“** – ეს საქართველოს მინიშნებაა, აქ გადმოცემული ნოველის სიუჟეტი და მისი გმირები კი, საქართველოს ისტორიის ფილოსოფიაა თავისი **„წყევლა–კრულვიანი საკითხავებით“... „აჩრდილი“** და **„ქართვლის დედაც“** ამ თეორიის პოეტური გადმოცემაა თავისი ეროვნული თუ სოციალური, ზნეობრივი და ზოგად–კაცობრიული პრობლემებით. ამ მხრივ რად ღირს თუნდაც **„შრომის ახსნის“**, **„ახალს ნერგზედ ახლადშობილი ქვეყნის“** სიმბოლიკები, ანდა, თავისუფლების ნამდვილი ჰიმნი – **„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი, შენ ხარ ჩაგრულის, წამებულის წმინდა საფარი..., შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა“** – ამ და პოემის სხვა ადგილებშიც **„კაცობრიულის ტკივილის“** ეროვნულთან დაკავშირების დიდი იდეებია, თვითონ ქართული სიტყვის „**თავის–უფალი**“ სემანტიკური აგებულება – გაგების დიდი ფილოსოფიაა...

არტურ ლაისტი იხსენებს: როდესაც ილიას მხატვრული შემოქმედებიდან რამდენიმეს გერმანულ ენაზე თარგმნა დავიწყე, ილიამაც და ოლღამაც ჯერ **„განდეგილი“** მირჩიეს... მაგრამ მერე კახეთში რომ მოვხვდი და ალაზნის ველის სილამაზე და სიდიადე ვიხილე ჯერ გომბორის ქედის და მერე კი, ყვარლის მთების სანახებიდან, მაშინვე **„ალაზნის ველის ელეგიას“** მოვკიდე ხელი პოემა – **„კაკო ყაჩაღის“** შესავალიდან. იგი ამ 7 სტროფს ელეგიებს შორის მსოფლიო პოეზიის შედევრს უწოდებს – ვაჟა ფშაველამდე ბუნების ასე გაღმერთება – გაადამიანება – გაფეტიშება არსად შემხვედრიაო...

„სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი,
მწუხრის ზეწარი გადაეფარა...
... შორნი მნათობნი, მოკამკამენი,
იმ მწუხარს ღამეს მხიარულობდნენ,
მდუმარს ქვეყანას, ვით საყვარელნი
სხივებს ესროდნენ, ზედ დაჰხაროდნენ,
და იმ მნათობთა სხივის ალერსით

ველს მშვენიერსა ჩასძინებოდა...
... ყველას ეძინა, დღით ჰფეთქავს რაცა,
თითქოს დაღლილა მიწაც და ცაცა!...

და მერე მეურმის და იმის მწუხარე სიმღერის ღუღუნი, ამ **„ურმულის გულში ჩარჩენა ვით გლოვის ზარი“** აერთიანებს იმას, რასაც ადამიანისა და ბუნების ერთიანობა ჰქვია. ეტყობა ლაისტმა კახეთში სტუმრობის დროს ეს „ურმულიც“ თუ „მრავალჟამიერიც“ ბევრჯერ მოისმინა და ამიტომ დარჩა ასე აღფრთოვანებული...

იქვე წერს – ილიას დიდი და გამოუთქმელი მშობლიური სიყვარულით უყვარდა კახეთი, ოლღაც ხშირად ცდილობდა იქ მოხვედრას მისი სიამოვნებისთვის – მაშინ ილია ხომ, რომ იტყვიან, **„მეცხრე ცაზე იყო“...** როდესაც ბაქო–თბილისი რკინიგზის გაყვანა გადაწყდა, დიდ–პატარა არავინ მოასვენა – ამ რკინიგზას **„კახეთს ნუ ააცილებთო“,** მაგრამ **„თუმანოვმა და მისმა ამქარმა“** იქამდე არ მოისვენეს, სანამ ე.წ. **„სამხრეთის მიმართულება“** არ დაამტკიცეს – კავკასიის ეს მნიშვნელოვანი სარკინიგზო მაგისტრალი სამხრეთით, სომხეთის საზღვრებისკენ გააყვანინეს, კახეთს კი, მართლაც **„ააცილეს“...**

ილიას სიბრაზეს საზღვარი არ ჰქონდა, როგორც ოლღა იხსენებს, **„ხმა არ გაეცემოდაო“,** ამას დაემთხვა ევროპულ, კერძოდ, ფრანგულ პრესაში სომხური პუბლიკაციები, სადაც ქართული არქეოლოგიური ძეგლები სომხურად იქნა გამოცხადებული და **„დინჯი ილიას“** ეს სიბრაზეც უკვე დაუოკებელი გახდა **„თუმანოვისა და მისი ამქრის“** მიმართ. საბოლოოდ ყველაფერს ამას **„ქვათა ღაღადი“** მოჰყვა, ზოგიერთებს ჩვენთანაც და სომხეთშიც რომ **„ანტისომხური პუბლიკაცია“** ჰგონიათ, – ასე **„გაარჩია“** იგი ამასწინათ **„ეხო კავკაზმაც“...** კარგად წაკითხვა უნდა ყველაფერს და ვინც კარგად წაიკითხავს ქართული ბელესტრიკის ამ შედევრს, განსაკუთრებით მის შესავალ და დასკვნით გვერდებს, ის დარწმუნდება, რომ იგი სომეხ–ქართველთა მეგობრობისა და კეთილმეზობლობისაკენ მოწოდებაა, და თუ გნებავთ, ჩვენი დღევანდელი თაობებისადმი მისი დიდი გზავნილი და ანდერძიცაა, თუ რასაკვირველია, აქაც გავუგებთ და მოუსმენთ მას...

რაც შეეხება რკინიგზას, ილიამ კახეთში რკინიგზა მაინც გაიყვანა – მან და მისმა თანამოაზრეებმა ბანკის მეშვეობით შექმნეს **„კახეთის რკინიგზის ამხანაგობა“** და იქაურებმაც – დიმიტრი მაჩხანელმა, იროდიონ ევდოშვილმა, სანდრო შანშიაშვილმა, ალექსანდრე ალადაშვილმა და ბევრმა სხვამ ილიასვე ინიციატივით შექმნილი **„ხოდაბუნური ამხანაგობების“** ჩართვით დაასრულეს რკინიგზის გაყვანა, მაგრამ რომ იტყვიან, სანახევროდ: არც მათ და არც ილიას აღარ დასცალდათ მისი ალაზანგაღმა გაყვანა და აზერბაიჯანის რკინიგზასთან შეერთება. ალაზნის ველის თუ შირაქის **„რკინიგზით გაჭრის“** ილიას ეს იდეაც

დღეს გაცოცხლებას ელის, ისე როგორც კახეთთან დაკავშირებული სხვა იდეებიც...

საქმით მეტყველი სიტყვა

ილიას ხასიათს, მის პიროვნულ ბუნებას ესეც დაჰყვა თან: ყოველთვის ცდილობდა სიტყვიდან, ამა თუ იმ ჩანაფიქრიდან მის განხორციელებაზე სწრაფად გადასვლას. სანამ ამას არ გააკეთებდა, მასზე მეორედ არც იტყოდა და არც დაწერდა. მის მხატვრულ შემოქმედებასაც რომ დავაკვირდეთ ამ მხრივ, იქ ძალიან იშვიათად თუ ვნახავთ ერთ თემაზე მეორედ რაიმეს მსგავს პროზაშიც და პოეზიაშიც...

ჩამოვიდა თუ არა რუსეთიდან, 24 წლის კაცმა უმალვე აღასრულა ჩაფიქრებული – **„საქართველოს მოამბე“** გამოსცა, ახალი სიტყვა მაშინდელ ქართულ ჟურნალისტიკაში. მისი საპროგრამო წერილი ხომ, საქართველოს მომავალი საზოგადოებრივ–ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მონახაზია...

მალე გაჩნდა ახალი იდეა – ბანკის დაარსება. მის გარეშე არც ეროვნულ პრესას და არც ქართველი ერის სულიერი და მატერიალური აღორძინების პროგრამას არ ეწერა განხორციელება... და ისიც მალე სიტყვიდან საქმედ აქცია... იმავე დროს გამოსვლა იწყო მისმა „ივერიამაც“...

სკოლების, სამეურნეო–ტექნიკური სასწავლებლების, თეატრების, **„წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“**, ფოკლორული გუნდების შექმნა, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენა... ყველაფერი ეს მალევე სიტყვიდან საქმედ იქცნენ. ოლღა იგონებს: ისეთი აზარტით და გატაცებით შეუდგებოდა ყველა ჩაფიქრებულის საქმედ ქცევას, მაყურებელ კაცს შეშურდებოდაო...

და იგივე ოლღა იხსენებს ილიას ბოლოდროინდელ ორ დიდ ასეთ აზარტს და გატაცებას – ერთი სიცოცხლის ბოლოს, რუსეთ–იაპონიის ომის შემდეგ კონსტიტუციურ მონარქიად რუსეთის გარდაქმნის იდეას და მასთან დაკავშირებულ „ავტონომიზაციის“ გეგმას – საქართველოს პირველ ნაბიჯს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე, როგორც ეს ინგლისის შემთხვევაში კანადაში უკვე ხორციელდებოდა მაშინ... ილიას ღრმად სწამდა – რუსეთის ინგლისის მსგავს სახელმწიფოდ გარდაქმნა კარგი იქნებოდა ყველასთვის – თვითონე რუსეთისთვისაც, ევროპისათვისაც და რაც მთავარია, საქართველოსთვის...

ილიას მეორე სიტყვიდან საქმედ განსახორციელებელი დიდი იდეა ძველ ქართულ „კომლს“ და „ხოდაბუნურ ამხანაგობას“ ეხებოდა. ამ საქმეში აქტიურად

თანამშრომლობდა ლონდონში მოღვაწე ვარლამ ჩერქეზიშვილთან (1846 – 1925), რომელიც დროდადრო საქართველოშიც ჩამოდიოდა. არსებობს 100–მდე მისი წერილი და სტატია „ივერიაში“, რომელთა უმრავლესობა სამეურნეო კორპორაციათა თეორიასა და პრაქტიკას ეხება...

ეს ცალკე დიდი სამომავლო თემაა – ამით დაუპირისპირდა ჩერქეზიშვილი მარქსიზმს, მასზე დისკუსია მას სტალინთანაც ჰქონდა („**ანარქიზმი თუ სოციალიზმი?**“) და ბევრი იდეა, რომელიც ჩერქეზიშვილმა მაშინ თეორიულად წამოაყენა, მათ შორის ევროპის გაერთიანებისა, პრაქტიკამ რეალობად აქცია. სოციალიზმის თეორიაში იგი მთლიანად გაემიჯნა მარქსიზმს, განსაკუთრებით მის ყველაზე მახინჯ ფორმას – ბოლშევიზმს. აკი წერდა ბოლშევიკების მისამართით: **„თქვენ სოციალისტები არ ხართ! თქვენ სოციალიზმის მტრები ხართ!“...** და ისტორიამ მისი ეს წინასწარმეტყველებაც აღასრულა...

ილიას განსაკუთრებით მოსწონდა და მხარს უჭერდა სოფლის თვითმართველობის საფუძველზე **„ხოდაბუნური ამხანგობების“** შექმნის ჩერქეზიშვილის იდეას. მას ცოლი ფრანგი ჰყავდა – ფრიდა, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ერთ–ერთი ფუძემდებელი, რომელსაც საქართველოში სტუმრობისას, ოლღა მასპინძლობდა მუდამ და დიდ პატივსაც სცემდა, როგორც **„კეთილ და უჭკვიანეს ქალს“**...

ორივემ – ილიამაც და ჩერქეზიშვილმაც აიტაცეს ეს ევროპულ–ქართული **„სინდიკატ – ხოდაბუნური“** სამეურნეო კორპორაციების იდეა („სინდიკატიც“ ხომ ფრანგულად „ერთობას – გაერთიანებას“ ნიშნავს), და მაშინ უკვე დასრულებული კახეთის რკინიგზის გაყოლებაზე დიდი სასოფლო–სამეურნეო დასახლებების შექმნა განიზრახეს. მაგრამ ეს დიდი მასშტაბური იდეაც ილიასთან ერთად წიწამურმა ჩაკლა. ჩერქეზიშვილმა 1918 – 1920 წლებში კვლავ სცადა მისი განხორციელება, მაგრამ ისევ ამაოდ...

„ტიკჭორებით“ მაჩხაანიდან მოსკოვამდე...

ბანკის მეშვეობით და კახეთის რკინიგზით მომძლავრებული მაჩხაანის „ამხანაგობა“ კავკასიის გარდა იმპერიის სხვა რეგიონებშიც ცდილობდა სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას. ეს ძირითადად ღვინო – არაყის გატანით ხდებოდა. ტრანსპორტირების ყველაზე კარგი საშუალება კი, თხის, ცხვრისა და ხბოს ტყავებისგან დამზადებული ე.წ. „ტიკჭორები“ აღმოჩნდა. ტყავის დამუშავების მთელი წარმოება გაიშალა ამ მიმართებით, რისთვისაც დიმიტრი მაჩხანელმა სპეციალური შენობა–ნაგებობანი ააშენა ივრისპირეთში, რომელიც მესაქონლეობის ტრადიციული მხარეა დღესაც და მაშინაც...

ღვინო–არაყზე მოთხოვნილება დიდი იყო რუსეთში, განსაკუთრებით მის ჩრდილოეთ რეგიონებში და დიმიტრი მაჩხანელი ისევ ილიას მიადგა თხოვნით – გამოეყო იაფი აგრარული კრედიტი ადგილზე მაღაზიების შესაძენად, – ეს მეტ მოგებას მოგვცემსო... ილიაც ჩვეულებისამებრ მხარში ამოუდგა და ასე გაჩნდა ქართული მაღაზიები მოსკოვსა და პეტერბურგში, მერე კი, თვით ჰელსინკსა და ვარშავაშიც...

დიმიტრი მაჩხანელი პატარ–პატარა **„გასართობ ამბებსაც“** ბეჭდავდა ხოლმე **„ივერიაში“** და მათში ხშირად იყო ასახული ეს პროცესებიც. ილია თურმე ამასთან დაკავშირებით ეხუმრებოდა – კარგია, კარგი, მაჩხანელო, ამ გართობა–გართობაში მგონია, რომ მთელ იმპერიას დაიპყრობ მაგ შენი ტიკჭორებით...

ილია, ეკატერინე ჭავჭავაძე და ანდრია დადიანი

პეტერბურგში ყოფნის დროს ილიას ერთგული და გულუხვი მასპინძელი ეკატერინე ჭავჭავაძის და დავით დადიანის ოჯახი იყო. სწორედ მათთან – **„ცარსკოე სელში“** აღმოაჩინა ილიამ ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელნაწერი რვეულები. ის დღეები ბარათაშვილით ბოდავდაო – იხსენებენ თვითმხილველნი...

იმპერატორის კარზე დაახლოებული ეს ოჯახი ამავე დროს დიდი ფინანსური შესაძლებლობების მქონეც იყო და ეკატერინემ სთხოვა ილიას თავისი შვილების და შვილიშვილებისთვის თბილისში სამკვიდრო სახლის მშენებლობისთვის ადგილის შერჩევა. მის ერთ–ერთ შვილთან – ანდრია დადიანთან (1850–1910) ილიას განსაკუთრებით კარგი ურთიერთობა ჰქონდა: ანდრიას სახელი მთელ ევროპაში ჰქუხდა თავისი სიმპატიური გარეგნობის, სიმდიდრისა და ჭადრაკით გატაცების გამო. ევროპის ყველა დედაქალაქის კარი მისთვის ღია იყო, არაერთი დიდი საერთაშორისო ტურნირი ტარდებოდა მისი მონაწილეობით და მეცენატეობით, მასთან ნაცნობობა და მეგობრობა სასურველი იყო მაშინდელი გამოჩენილი გროსმაისტერებისთვის – ლასკეროს, სტეინიცის, ჩიგორინისთვის...

ილიაც ჭადრაკის დიდი მოტრფიალე იყო. სწორედ პეტერბურგში ეკატერინესთან სტუმრობის დროს არის შემორჩენილი მისი ფოტო ვასილ მაჩაბელთან ჭადრაკის თამაშისას... თბილისში მუდმივად ჰქონდა გამოწერილი **„შახმატნიი ჟურნალ“–ი** და ანდრია დადიანის მეშვეობით ცდილობდა ეს ბრძნული თამაში ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც აქტიურად დაენერგა... XIX–XX საუკუნეთა მიჯნაზე თბილისში ნამდვილი საამშენებლო ბუმი განვითარდა, ბევრი გამოჩენილი ევროპელი არქიტექტორი და საამშენებლო ფირმა იყო ამ საქმეში ჩართულიც...

თბილისი ხეობაში მდებარეობს და ამიტომ გაჩნდა მისი ფერდობების ათვისების იდეა, სადაც ლანდშაფტიც და ჰავა–კლიმატიც გაცილებით ხელსაყრელია. სწორედ მაშინ დაიწყო მთაწმინდაზე ფუნიკულიორის მშენებლობა და დადიანებისთვის მისაღები გახდა მისი მომიჯნავე სოლოლაკი–ნარიყალას, ანდა, ორთაჭალის ტერიტორია. ცნობილია, რომ ეკატერინეს ქალიშვილი გათხოვილი იყო საფრანგეთში, ნაპოლეონის მარშალ მიურატის შთამომავალზე და როგორც ჩანს, დადიანებთან ერთად, მათაც გაუჩნდათ **„თბილისელობის“** სურვილი, მაგრამ ეს საქმეც ჩაიშალა – ილიას შემდეგ ანდრია დადიანიც მალე გარდაიცვალა, ხოლო I მსოფლიო ომმა სულ სხვანაირად წაიყვანა თბილისისა და საქართველოს ბედიც...

,,გაუფრთხილდით მიწას!“

ზევითაც ითქვა: „საერთო ნიადაგის“ თეორია ორ ათეულზე მეტ სამართლებრივ, პოლიტიკურ, სოციალურ–ეკონომიკურ და ზნეობრივ პრინციპს შეიცავს, თვითეულ მათგანს შეიძლება მთელი მონოგრაფია და სამეცნიერო კრებული მიეძღვნას და მომავალში ალბათ, ეს ასეც უნდა მოხდეს, მაგრამ აქ გვინდა ამ თეორიის და საერთოდ, ილიას მთელი მემკვიდრეობის ერთ თავისებურებას შევეხოთ:

ილიას ლაკონიზმი ყველასთვის ცნობილია – თავისი ,,ოთარაანთ ქვრივის“ გმირის – გიორგისა არ იყოს, ხშირად იგი ერთ მოსხლეტილ სიტყვასა თუ ფრაზაში, ცხოვრების მთელ არსსა და ფილოსოფიას გამოხატავს, დედა–შვილივით არც პირიდან თაფლივით მომდინარე ტკბილი სიტყვის მოყვარული იყო. არაერთ ასეთ მოკლე წერილსა და გამოსვლაში აქვს გამოთქმული დიდი სამომავლო და საპროგრამო მნიშვნელობის იდეა. აქ შეიძლება გავიხსენოთ რამოდენიმე:

1902 წელს ილიამ დადიანებისა და შერვაშიძეთა მიწვევით იმოგზაურა სამეგრელოსა და აფხაზეთში. ამ მოგზაურობისას მან თავისებური შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა სოხუმში. ეს ის პერიოდია, როცა კაპიტალიზმის განვითარებამ საქართველოს შავიზღვისპირეთის საზოგადოებრივ–ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად წასწია წინ, მაგრამ ამასთან ფართო გასაქანი მიეცა ამ რეგიონის კოლონიზაციასაც. გაჩნდა არა მარტო რუსული, არამედ სომხური, ბერძნული, ჩრდილო–კავკასიური და სხვა დასახლებანი. ეს პროცესი ვრცელდებოდა აფხაზეთის მომიჯნავე ძველი ისტორიული „ჯიქეთის“ – სოჭი, ადლერი–ტუაფსეს ტერიტორიაზეც, სადაც ქართული დასახლებანი ამ დროისათვის უკვე უმცირესობას შეადგენდა და ასიმილაციას განიცდიდა...

თავის მოკლე სიტყვაში ილიამ შეაქო აქაური ქართველობა – თქვენ გაცილებით უკეთ ცხოვრობთ ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა, ჩვენ კეთილი შურით უნდა გვშურდეს თქვენი ასეთი პროგრესის, მაგრამ ერთი რჩევა კი მაინც მინდა ასეთივე კეთილი გრძნობით მოგცეთო – **„მიწას გაუფრთხილდით!“** – ამ რჩევით დაამთავრა მან სიტყვა.

დიდმა ილიამ წინასწარ განჭვრიტა, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა აფხაზეთში დაწყებულ კოლონიზაციას და მიწის ასეთ უკონტროლო გასხვისებას, თუ ამ პროცესს წინ არ აღუდგებოდნენ.

„კიბუცი“, თუ „ხოდაბუნი“

ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, რომ როცა 1895 წელს თეოდორ ჰერცელმა ვენაში თავისი წიგნი – **„ებრაული სახელმწიფო“** გამოსცა, მაშინ პალესტინაში ებრაული **„კიბუცების“** რაოდენობა თითებზე ჩამოსათვლელი თუ იყო. ილიამაც ამავე წლებში, როცა ქართული სახელმწიფოს საფუძვლები შექმნა **„საერთო ნიადაგის“** თეორიის სახით, **„ხოდაბუნები“** საქართველოშიც ძალიან ცოტაღა იყვნენ შემორჩენილი, უპირატესად ივრისპირეთის სასაღვრო რეგიონში დავით გარეჯიდან დალის წყალსაცავამდე. მაგრამ ახლა ვნახოთ რითი აჯობა **„კიბუცმა ხოდაბუნს“** – მხოლოდ და მხოლოდ რწმენით, საქმით და სხვა არაფრით...

ჰერცელმა დაარწმუნა ყველაზე მდიდარი ებრაელი ბანკირი გირში, რომ ხელი შეეწყოთ კიბუცებისთვის. ამ ორმა კაცმა და მათ მიერ მთელ მსოფლიოში დაფუძნებულმა სიონისტურმა მოძრაობამ ზუსტად 52 წლის შემდეგ მართლაც, რომ სასწაული შეძლეს – აღადგინეს 2000 წლის წინ განადგურებული და მიწასთან გასწორებული ებრაული სახელმწიფო. მეტიც, თვით **„მკვდარი ენაც“** აღადგინეს. ამიტომაც დღევანდელ ისრაელში მათ და სიონიზმის სხვა ლიდერებს განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ...

ახლა ბევრი ჩვენს კითხვას ალბათ ასე უპასუხებს – რა თქმა უნდა ძლიერი კიბუცი ყოფილა – სახელმწიფო შეუქმნია... ნება მომეცით, არ დაგეთანხმოთ და აი, რატომ:

XIX საუკუნის ბოლოდან და XX საუკუნის დასაწყისში პალესტინის ებრაულ კიბუცებს **„უპირატესი განვითარების ხელშემწყობი რეჟიმი“** შეუქმნეს მთელი 50 წლის მანძილზე. ამას დაუმატეთ სიონისტთა კონგრესის მიერ დაფუძნებული სპეციალური ფონდი, რომლითაც საკმაოდ მნიშვნელოვან თანხებს და სხვადასხვა დახმარებებს იღებდნენ ისინი, ვინც **„ახალ კიბუცურ დასახლებებს“** დააფუძნებდნენ მდ. იორდანეს სანაპიროებზე... ჩვენთან კი ცნება – **„ხოდაბუნი“** ლამის ენიდანაც კი გაქრა, როგორც იტყვიან ყველაფერი უკუღმა მოხდა.

მოდით ვნახოთ, რა მოუვიდა მართლაც ილიას იდეას და მის ავტორს მე–XX საუკუნის მთელ მანძილზე: მესამედასელმა **„კლასობრივი ბრძოლის“** ქართველმა მარქსისტმა იდეოლოგებმა მას, როგორც **„რეაქციის ბურჯს და ექსპლოატატორს“** განაჩენი გამოუტანეს და 1907 წლის 30 აგვისტოს აღასრულეს კიდეც მათმა მაშინდელმა **„კილერებმა“**. რაც შეეხება იდეას, ილიას შემდეგ **„ხოდაბუნების“** ყველაზე ერთგული მიმდევარი ვარლამ ჩერქეზიშვილი იყო. 1918 წელს მან პრაქტიკულად დაიწყო **„ახალი ხოდაბუნური დასახლებები“** ივრისპირეთის დაუსახლებელ მიწებზე. მენშევიკებმა ხელშეწყობის ნაცვლად, ობსტრუქცია გამოუცხადეს მის ამ „**წვრილბურჟუაზიულ წამოწყებას**“, ხოლო 1921 წელს ხელისუფლებაში მოსულმა ბოლშევიკებმა ის საერთოდ გააძევეს საქართველოდან. ასე მოექცნენ ჩვენთან ილიას და მის მიმდევრებს მთელი XX საუკუნის მანძილზე.

რაც შეეხება სიძველეს და ეკონომიკურ ეფექტურობას, აქ კიბუცს ხოდაბუნი ყველა მაჩვენებლით აღემატება: პირველად **„ხოდაბუნი“** იხსენიება XII საუკუნეში დავით აღმაშენებლის **„ანდერძში შიო მღვიმის მონასტრისადმი“**. ივანე ჯავახიშვილი **„ქართველი ერის ისტორიის“** II ტომში სხვადასხვა მონაცემების საფუძველზე XI – XIII საუკუნეების საქართველოს ეკონომიკაზე და ეროვნულ შემოსავალზე, ასკვნის: იგი ორჯერ აღემატებოდა მაშინდელი საფრანგეთის ეროვნულ შემოსავალს. დაუჯერებელია თითქოს, მაგრამ ფაქტია!...

ილიას მთავარი არგუმენტიც ის იყო, რომ მიუხედავად შემდგომი საუკუნეების **„ძნელბედობებისა“**, ქართველ კაცს და მის ქვეყანას **„არავისი ვალი და ვახში არ დასდებია“**, ამის მთავარი მიზეზი კი სწორედ **„ხოდაბუნები“** იყო, რომელსაც დღეს ლეონიძის და ორიოდე სხვა პოეტის ლექსებშიღაა შემორჩენილი... ჩვენი ახალი ისტორიის პარადოქსიც ეს არის.

ყველაფერი ეს და **„კომლისა“** და **„ხოდაბუნების“** სხვა პოზიტივებზე ხაზგასმას ვხვდები სტატიათა ციკლში **„კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“**. ილიას მოთხოვნაც ისაა, რომ ამ დიდ ისტორიულ მემკვიდრეობას სჭირდება სერიოზული ანალიზი და თანამედროვე ეპოქის შესატყვისი დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციებიც. ეს ხელისუფლებისა და საზოგადოების ერთობლივი ვალია...

უცხო თვალით დანახული „ქართული ხასიათის გვირისტი“...

საქართველოს ახალ ისტორიაში უცხოელთა დასახლებებიდან ყველაზე მეტად აღსანიშნავია გერმანელთა და პოლონელთა კოლონიები. მათი ისტორია ჯერ კიდევ ერეკლე II ეპოქიდან იწყება და უფრო მეტი ინტენსივობით XIX ს–ის

დასაწყისში ვითარდება. რუსეთი თავისი მიზნებისთვის ხელს უწყობდა ამ პროცესს და სხვადასხვა მეთოდებით ახალისებდა კიდეც. ეს განსაკუთრებით პოლონელებს ეხებათ. 1830–31 წლების პოლონეთის აჯანყების შემდეგ, ასობით პოლონელი იქნა გადმოსახლებული კავკასიასა და საქართველოში. მათგან უმრავლესობა ადაპტირებული გახდა ჩვენს ეროვნულ ცხოვრებასთან და 2–3 თაობის შემდეგ აქტიურად ჩაერთვნენ მასში. ყველაზე კლასიკური მაგალითი ამის გიორგი ზდანოვიჩი–მაიაშვილია, ხალხოსნური მოძრაობის ერთ–ერთი თვალსაჩინო იდეოლოგი საქართველოში...

ილიას და ოლღას ბევრ პოლონურ ოჯახთან ჰქონდათ ახლო ურთიერთობა – ვოლსკებთან, ტრიპოლსკებთან, შიმკოვიჩებთან, სიკორსკებთან... სწორედ ამ უკანასკნელებთან არის დაკავშირებული ილიას და ნიკო ნიკოლაძის დუელის ბედნიერი დამთავრება...

ენების მიტან–მოტანით მათ შორის ურთიერთობა ისე დაიძაბა, რომ საქმე ბოლოს დუელამდე მივიდა. უსაქმურ ქართველ თავადებსაც ეს უნდოდათ: ერთმა ნაწილმა ილია ჩასვა ეტლში, მეორემ – ნიკოლაძე და ქალაქგარეთ გაიყვანეს დუელის დასაბოლოებლად...

სიკორსკები ბანკის მუდმივი კლიენტები იყვნენ და როცა ბანკში მივიდნენ თავიანთ საქმეზე დოკუმენტების გასაფორმებლად, ეს ამბავი დახვდათ: მაშინვე მათაც თავიანთი ეტლი ქალაქგარეთ გააქანეს და იქ მისულებს კი, ეს საოცარი სურათი დახვდათ: ერთნი მანძილს ზომავდნენ მეტოქეთა შორის, მეორენი დამბაჩის სროლას ასწავლიდნენ (ორივეს პირველად ეჭირა ხელში დამბაჩა – სროლა არ იცოდნენ!), მესამენი კი, ზიარებისთვის მღვდლის მოსაყვანად იყვნენ წასულები...

– თქვე, ტუტუცებო და გიჟებო, თქვენა, – ორი კაცი გყავთ ქართველებს ჭკუა რომ მოეკითხებათ და იმათაც ერთმანეთს ახოცვინებთ, თქვე, მართლა **„გიჟ–ვრაცუებო“** – დაერივნენ სიკორსკები „სეირის“ მოყვარულთ და ჩაშალეს ილია–ნიკოლაძის დუელი. ... მარტო ქართველის თავი თუ მოიფიქრებს და გააკეთებს ამას – ყველგან ამას ლაპარაკობდნენ შემდეგში ისინი...

ერთი ისიც უნდა ითქვას, რომ მიუხედავად პიროვნულად ასეთი დაძაბული ურთიერთობისა, ილიაც და ნიკოლაძეც მუდამ ეროვნულ ნიადაგზე იდგნენ, განსაკუთრებით ეროვნული ეკონომიკის საკითხებში. ამიტომაც ვთვლით ნიკო ნიკოლაძეს სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად, „საერთო ნიადაგის“ თეორიის ერთ–ერთ ფუძემდებლად. ეს კვლევის ცალკე თემაა, მაგრამ აქ მაინც გვინდა ვთქვათ, რომ ისე როგორც ვარლამ ჩერქეზიშვილიც, ქართველმა მენშევიკებმა არ გამოიყენეს ნიკო ნიკოლაძის ეს დიდი პოტენციალი 1918–1921 წლებში...

ქართული ხასიათის ილიასეული „გვირისტები“

კაცის ცხოვრებაში და მის ფსიქიკაში ოდითგანვე შემჩნეულია: რაც უნდა დადებითი თვისებები არ უნდა ჰქონდეს მას, „პოზიტიური აურა“, როგორც იციან ხოლმე თქმა, საკმარისია მისი ხასიათის ერთი რაღაც უარყოფითი თვისება, რომ ამ მის „პოზიტიურ აურას“ ერთბაშად ხაზი გადაესვას...

ესეც ცნობილია: ილია ყოველმხრივ ცდილობდა, რომ ქართულ ენაში შემოსული ახალ–ახალი სიტყვებისთვის შესატყვისი ქართული სიტყვა მოეძებნა და დაენერგა. ამ შემთხვევაშიც ამ „პოზიტიურ აურას“ მისი ქართული სინონიმი – „კაცის დიდბუნებოვანობა“, ცვლის. ძალიან ბევრ წერილსა და სტატიაში, კაცს, რომელსაც იგი დიდ პატივს სცემდა, „დიდბუნებოვანი კაცის“ სახელით ამკობდა მუდამ, სულერთი იყო მისთვის რა სოციალურ თუ განათლების ცენზს ატარებდა იგი. აკი, დავით აღმაშენებელს „სახელოვან მეფობასთან“ ერთად, „დიდბუნებოვანი კაცობითაც“ ადიდებდა. ყველგან – კაცშიც და ერშიც ამ „დიდბუნებოვანობას“ ეძებდა. „ქვათა ღაღადში“ წერს:

„ერი, როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა, ყოველი პატიოსანისა და ჭკუათმყოფელი ადამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს... მისი ავად ხსენება დიდად სათაკილო საქმეა. ყოველ ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთათქმა, თავისი სულთასწრაფვა, თავისი ღირსება. ამეების შეგინება ერთი იმისთანა სიბრიყვეა, რომელიც გონებაგახსნილ ადამიანს არ ეპატიება, არ შეენდობა. ეს ჩვენ კარგად ვიცით და ღმერთმა გვაშოროს იქ მთელი ერი ვიგულისხმოთ, საცა მისი ერთგვარი გუნდია ცოდვილი“...

ერისა თუ კაცის ხასიათზე, ფსიქო–გენეტიკურ კოდსა და ცხოვრების წესსზე ილიას ბევრი დაკვირვებები აქვს – მათ შორის თავისი ხასიათის მეტამორფოზებზეც... მათზე ცოტა მოგვიანებით შევჩერდებით...

„რას გადამარჩინეს...“

საყოველთაოდაა ცნობილი – ილიას თავისი დაბადების დღის აღნიშვნა არ უყვარდა – სიცოცხლეში არცერთი დაბადების დღე არ გადაუხდია. ოლღამაც იცოდა მისი ეს ჯიუტი ხასიათი და ამიტომაც დააწესეს ორივემ სანაცვლოდ **„ილიაწმინდას დღე**ობა“ გურამიშვილების საგვარეულო მამულში. ამ დღეს კი დიდი მონდომებით და ხელგაშლილობით აღნიშნავდნენ მეუღლეები...

– უბედურ დღეზე ვარ გაჩენილი, რაც თავი მახსოვს სიკვდილი დამდევს თან, – წერდა მამიდამისს პეტერბურგიდან, როცა იქ ძმის ცხედარს დასტიროდა...

პოეტურადაც გამოხატა ეს თავსდამტყდარი უბედურება („ძმის სიკვდილზედ“): **„ვაიმე ძმაო, ბნელ სიკვდილმა მოგსპო, ვაიმე, არ გამითენდა შენ შემდეგ ვაების ღამე...“.** ასევე დიდი ემოციური მუხტით არის გადმოცემული მისი ოჯახური ტრაგედია ნოველაში – **„ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“:**

„მახსოვს, როცა პატარა ვიყავი, რა გულისფანცქალით ვნატრობდი ახალი წლის წინაღამეს... მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბევრი რამ კარგი წაგვართვა და თან წაიყოლა. დაგვეხოცა დედ–მამა, მომიკვდა ორი ძმა, გარდამეცვალა ერთი დაცა. დავრჩით ამ ქვეყნიერებაზედ მარტო ორნი და–ძმანი... დღეს იქ, სადაც ამოდენა სახსოვარი აუგია ჩემს გულს, მარტო ხუთი სამარეღაა...“.

1895 წელს ილიამ და ოლღამ როგორც იქნა ბანკის სესხის მეშვეობით თავი მოაბეს საგურამოს სახლის მშენებლობას. ბრწყინვალე სახლი გამოვიდა ბოლოს. არტურ ლაისტი იხსენებს – ბევრნი საყვედურობდნენ – შვილები არ გყავთ, რათ გინდოდათ ვალით აშენებული ამხელა სახლიო... მაგრამ თვითონვე ამართლებს ცოლ–ქმარს: იქ ისეთი ბედნიერი 12 წელი გაატარეს, რომ ღირდა ამადო...

ამასობაში 1897 წელი დადგა და შინაურმა თუ გარეულმა ერთხმად მოსთხოვეს ილიას აღენიშნა დაბადების 60 წელი. „ივერიაში“, ბანკში და „წერა–კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“ შეადგინეს საიუბილეო კომისიაც, დაიქირავეს ოპერის შენობაც, მაგრამ მესამედასელებსაც არ ეძინათ – მათ უკვე ამ დროისათვის იმდენი ძალა გააჩნდათ, რომ „რეაქციონერი მებატონის“ იუბილე ჩაეშალათ, მითუმეტეს, რომ იუბილარმაც არაფრით აუბა მხარი ამ საიუბილეო სამზადისს და მის ჩამშლელებსაც მადლს სწირავდა ჩვეული იუმორით...

არტურ ლაისტი – ილიას ერთ–ერთი ყველაზე დიდი მეგობარი და გულის მესაიდუმლე, **„ჩვენი აბო“,** როგორც უწოდებდა ილია მას, იხსენებს: **„ილიას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა – ამჯერად კარგი სამსახური გამიწიეს – თვითონვე არ იციან, რას გადამარჩინეს მთელი საღამო სცენაზე ჩინელი ბოგდიხანივით გამოყეყეჩებულ ჯდომას, პირიდან თაფლის დენას და აქეთ–იქიდან უაზრო დითირამბების მოსმენას“...**

პიროვნულ იუბილეებს ილია **„აზიური ჯამბაზობისა და ყიზილბაშურ გადმონაშთს, უაზრო თავშესაქცევს“** უწოდებდა, მითუმეტეს ჯერ კიდევ ცოცხალი და მოქმედი კაცისას. იმავე ხანებში მან მარტო ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან 100 წლისთავის აღნიშვნას დაუჭირა მხარი და დააფინანსა... რაც შეეხება მის მომდევნო 70 წლის იუბილეს, რომელსაც ილიას მეგობრები და მიმდევრები სამომავლოდ მაინც არ იშლიდნენ აღენიშნათ, მესამედასელებმა ისიც მის დადგომამდე ორი თვით ადრე ბერდენკის ტყვიით ჩაშალეს...

ილია და „შეთქმა“

XIX საუკუნის 30–40–იან წლებში და მის მთელ II ნახევარში სიტყვა „შეთქმა“ ქართველებს შორის თავისებური საიდუმლო პაროლი იყო 1828–1832 წლის შეთქმულების გასახსენებლად. მშვენივრად აქვს აღწერილი ეს ამ ეპოქის ჩვენს მემატიანეს ზაქარია ჭიჭინაძეს: მაშინ ხომ მასში მონაწილეთგან ბევრმა ღრმა სიბერემდეც მიაღწია და მათი ცოცხალი მოგონებები ჭიჭინაძესთან ერთად, ბევრმა სხვამაც შემოგვინახა.

„შეთქმის“ თემას ილიაც არაერთხელ შეეხო...

რაკი ყველაფერ ამაზე აშკარად და ხმამაღლა ლაპარაკი არ შეიძლებოდა, მითუმეტეს კი, წერა, ილია ცენზურის თვალის ასახვევად ათასნაირ ხერხსა და ქარაგმებს იყენებდა. არ დარჩენილა „შეთქმის“ არცერთი ცნობილი პიროვნება ყველაზე ახალგაზრდა ასაკიდან დაწყებული (ვთქვათ, 15 წლის ნიკოლოზ ბარათაშვილი და ოდნავ უფროსი დიმიტრი ყიფიანი), დამთავრებული „მოთავეებით“ (დოდაშვილი, ალ.ჭავჭავაძე, გ.ერისთავი, ალ., ვ., გრ. ორბელიანები), რომლებიც ილიას რაიმე გულთბილი სიტყვებით არ მოეხსენებია – თითქმის ყველა მათგანს ცრემლი და მოსაგონარი ნევროლოგიც დაადევნა თან. ამ მხრივ აღსანიშნავი „ივერიის“ ციკლი „ახლობლები და შორეულნი“, სადაც ყველას თავისი მიუზღა...

მერე და მერე რუსეთმაც „ტაბუ ახსნა“ შეთქმულების მონაწილეთა ხსენების აკრძალვას, ზოგიერთი მათგანიც ხომ შემოირიგა – გრიგოლ ორბელიანი მთავარმართებულიც კი გახადა... გამოძიების დროსაც ბევრი რამ მიაფუჩეჩა – „ახალგაზრდულ გატაცებად და გადაცდენად“ ჩათვალა, რამეთუ მასში ინგლისისა და საფრანგეთის პეტერბურგის ელჩების, აქ, თბილისში კი საფრანგეთის კონსულის გრაფი ლეტელიეს კვალიც გამოჩნდა. ამდენად, საერთაშორისო ხასიათის მიცემასაც მოერიდნენ და უკვე შემდგომი იმპერატორები, განსაკუთრებით, ალექსანდრე III „შეთქმის“ მონაწილეებს იმპერიის უმაღლესი ორდენებითაც კი აჯილდოებდა გულუხვად აქაც და იქ პეტერბურგშიც – გადასახლებულ ბაგრატიონებს და მათ შთამომავლებს... ამ შემთხვევაშიც, **„დრო ყველაფრის წამალი აღმოჩნდა“...**

ამ „ჟამთა ცვლამ“ ილიასაც მისცა საშუალება ახლებურად გაეაზრებინა მთელი განვლილი XIX საუკუნე. ეს აშკარად ჩანს 1892 წლის „ივერიის“ სამ ნომერში დაბეჭდილ ვრცელ ნეკროლოგში – „დიმიტრი ყიფიანი“:

„ყველა სწუხს, ყველა ჰგლოვობს, ყველა მისტირის უკან დიმიტრი ყიფიანსა... რა არის ყოველივე ამის მიზეზი? ... კაცი მოჰკლეს – რა დიდი ამბავი ეს არის დღეს, რომ ქვეყანა შეიძრაო?! ადვილად მისახვედრია, ადვილად გამოსაცნობია მიზეზი ამისა...“.

და ამ თემაზე ილიას ყველაზე ღრმა და ყოვლისმომცველი ანალიზი – **„წერილები ქართულ ლიტერატურაზე“**, რომელიც „ივერიის“ იმავე წლის მაის–ივნისის ნომრებში დაიბეჭდა და სადაც იგი დღევანდელობის ერთ–ერთ მწვავე – თაობათა ურთიერთობის პრობლემას ეხება. ჩვენც დღეს ეს პრობლემა გვაინტერესებს. ილია წერს:

„ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო წერილი, რომელიც შეეხება ეგრეთწოდებულს „ახალს და ძველს თაობას“... არაერთხელ ატეხილა ჩვენს ფეხმოკლე ლიტერატურაში ეს საუბარი...

ჩვენში ეს სიტყვები ცარიელი და ფუყე სახელებია, რადგანაც ოდითგან ყველა ერთ უღელში ბმულა, ეს უღელი ყველას ერთად უწევია ერთს გზაზე იმიტომ, რომ ეს ყოველი გზაც იყო რომში მიმავალი...

... „მეთვრამეტე საუკუნის ვაი–ვაგლახმა და მეცხრამეტის პირველი წლების წეწვა–გლეჯამ ჩვენი ერი მოჰღალა, ქანცი გაუწყვიტა, იმედი დააკარგვინა... და მერე ყველა დიდ–პატარაობის გაურჩევლად ისევ ამ უღელს შეება, მისი ერთად გაწევა მოიწადინა... აქ „ძველი და ახალი თაობა“ არაფერ შუაშია, ვიმეორებთ, მხოლოდ ფუყე სახელებია... მთავარია, ძველიც და ახალიც უღალატოდ ეწეოდეს იმ დიდ უღელსა, რომელსაც საქართველოს წინ – მსვლელობა და ბედნიერება ჰქვია“...

– **„ამ უღლის ჩამოგდება არავის არაფრით ეგების“** ეს ძალიან, ძალიან უკან დასწევს ქვეყანას!, – ასეთია ილიას გზავნილი ჩვენთვის – ამის მაგალითი ხომ, მას თვითონვე ჰქონდა თვალწინ „შეთქმის“ სახით...

ქართული ხასიათის კიდევ ერთი „გვირისტი“

რუბრიკაში – **„თემი და სოფელი“**, ილია ხშირად ბეჭდავდა უშუალოდ ადგილობრივ მცხოვრებთა წერილებს თავიანთ ავ–კარგზე. სტილისტურადაც კი არ ასწორებდა – ასე უფრო ბუნებრივად იკითხებოდა უბრალო გლეხური ენით დაწერილი სხვადასხვა სახის ინფორმაციები...

მათ შორის ხშირი იყო წერილები ილიას დახმარებით და თანადგომით დაარსებული **„ხოდაბუნური ამხანაგობებიდანაც“**. ხშირი იყო „ივერიის“ ბოლო გვერდზე განცხადება–რეკლამებიც მათი დაფუძნების შესახებაც. და აი, ერთხელ ილიამ გადაწყვიტა თავისებურად შეეჯამებინა ეს წერილები...

აღმოჩნდა, რომ გლეხთა საჩივრების უმრავლესობა ეხებოდა იმ უდარდელობას და განუკითხაობას, რაც ამ სოფლების უმრავლესობაში ტრიალებდა, სოფლის ყოფა–ცხოვრებაში პრობლემებს რა გამოლევს ხვნა–თესვიდან დაწყებული და მოსავლის დაბინავებით დამთავრებული, მაგრამ

როგორც წესი, იქაური თავკაცები ამ სამეურნეო გაერთიანებებისა, გულგრილად შეჰყურებდნენ სოფელსაც და მის პრობლემებსაც. თავისებური გლეხური იუმორიც ახლდა ასეთ წერილებს – **„აბა, ახლა სადმე ღორი ან ინდაური იკვლებოდეს და ჭიქა გარახუნდეს – იმწუთში ყველა იქ გაჩნდებაო“...**

ილიას კომენტარი: საოცარი კაცია ქართველი და იმის ხასიათი – ირგვლივ ამდენი პრობლემები ახვევია თავს და ისე უდარდელად შეჰყურებს მათ, თითქოსდა, არ ეხებოდეს მას... ჭეშმარიტად რომ ასეთ უდარდელ კაცს ქვეყნად ვერსად ვერ ნახავთ!“...

ილია და „ვეფხისტყაოსნის“ დათარიღების საკითხი

ილიასთვის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენა და გამოცემა ეროვნული ღირსების საქმედ და განსაკუთრებული ყურადღების საგნად იქცა. ოლღა იხსენებს – სხვა საქმე არც ახსენდებოდა მაშინ... ძველი ტექსტების ერთმანეთთან შედარების გარდა, დიდ კამათს იწვევდა დათარიღების საკითხიც...

ტრადიციითაც და სათანადო დოკუმენტური წყაროებითაც, დადგენილია, რომ პოემა XII საუკუნის ჩვენი კულტურის შედევრია. ეს დადასტურებულია თეიმურაზ I, ვახტანგ VI, ვახუშტი ბატონიშვილის, სოლომონ დოდაშვილის ჩანაწერებით... მაგრამ საუკუნე ხომ დიდია – ამ საუკუნის რომელი ნაწილი ავიღოთ საიუბილეო თარიღად?...

ილიას და მაშინდელი საიუბილეო კომისიის უმრავლესობას მიაჩნდა, რომ ასეთ თარიღად აეღოთ XII საუკუნის I ნახევარი – დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I ეპოქა – ორივე მამაშვილნი ხომ, პოეზიის დიდი მოყვარულნიც იყვნენ. არგუმენტად ისიც მოჰყავდათ, რომ მაშინაც და მერეც ნებისმიერი ავტორი ხშირად, ათეული წლების შემდეგ უბრუნდებოდა კვლავ თავისი თხზულების დასრულება–დამთავრებას და სრულყოფას. თვითონ ილიას თითქმის ყველა პოემა ხომ, პეტერბურგშია დაწყებული და 20–30 წლის შემდეგ დამთავრებული მათი ბოლო ვარიანტით...

მთავარი არგუმენტიც ის იყო, რომ იგივე თაობიდან თაობაში გადმოცემული ტრადიციით, პოემის ავტორი **„რუსთაველი“** ტოპონიმზე დაფუძნებული შეძენილი გვარია და ნამდვილ ავტორებად ხშირად სახელდებიან ხან შალვა ახალციხელი, ხან, არსენ იყალთოელი, ხან ბასილი ეზოსმოძღვარი – ჩვენი **„ოქროვანი ხანის“** ეს დიდი მოღვაწენი. უდავო კი ის არის, რასაც ილია წერს და ამბობს: **„... ეგ დიდებული პოემა შექმნილია ჩვენი ერის დიდებულების დროსა, ჩვენის კაცისაგან და ჩვენს ენაზედ“.** ილიასთვის ცხადია, რომ პოემის

იუბილე კომპლექსურად უნდა აღნიშნულიყო **„ჩვენი ერის დიდებულების დროსთან და დავით აღმაშენებელთან ერთად“...**

ერთი სიტყვით, გადაწყდა, რომ 800 წლის იუბილესთვის კარგად მომზადებულიყვნენ, ეთარგმნათ პოემა ძირითად ევროპულ ენებზე და იუბილესათვის საერთაშორისო ხასიათი მიეცათ XX საუკუნის პირველ ათწლეულებში. მაგრამ რაც მოხდა ამ ათწლეულებში, ყველამ ვიცით...

პოემის იუბილეს საკითხი კვლავ ამოტივტივდა 30–იან წლებში: **„ბარბაროსი ერის ბარბაროსი შვილი!“** – ასე მონათლა **„შპიგელმა“** სტალინი და რეაქციამაც არ დააყოვნა: სასწრაფოდ გადაწყდა ქართული კულტურის დღეების ჩატარება გრანდიოზული მასშტაბებით და მასვე მიება პოემის იუბილეც, ოღონდ როგორც ჩანს, „**750 წელი“** უფრო ჟღერად თარიღად მიიჩნიეს. სტალინის ნებას კი ვინ გადაუდგებოდა წინ... ბევრ მასალას ვნახავთ ამაზე კანდიდ ჩარკვიანის, ისე როგორც შალვა ნუცუბიძის არქივებსა და გამოქვეყნებულ მემუარებშიც...

ბატონმა შალვამ ჩვენი თხოვნით, რამდენიმე საჯარო ლექციაც ჩაატარა ამ თარიღთან დაკავშირებით, ისიც უფრო ილიას დროინდელი კომისიის თვალსაზრისს იზიარებდა. **„ნაადრევი ქართული რენესანსის“** თავის იდეასაც მას უკავშირებდა... ამ თარიღს „ილიალოგთა კლუბი“ შემდეგშიც მიუბრუნდა და **„რუსთაველის საზოგადოებასთან“** ერთად 900 წლისთავის იუბილის საკითხიც დავაყენეთ. საზოგადოების მაშინდელ თავმჯდომარესთან ბატონ მიხეილ ქურდიანთან ერთად შევადგინეთ მიმართვის ტექსტიც, რომლის არსი ისაა, რომ პოემის იუბილესთან ერთად აღნიშნული იქნას დავით აღმაშენებლის ხსოვნის და მთლიანად, ჩვენი ისტორიის ამ **„დიდებულის ოქროვანის ხანის“** 900–წლიანი იუბილეც. ეს ხანა ხომ, საწყისს ზუსტად 900 წლის წინ იღებს – XII საუკუნის I მეოთხედში... ზევითაც ვნახეთ, რომ სწორედ ამ ხანას უკავშირებდა ილია **„ვეფხისტყაოსანს“** და მის დიდ ზოგად–კაცობრიულ იდეებს... ამიტომ თხოულობდა საიუბილეოდ სამი დიდი მოვლენის გაერთიანებასა და აღნიშვნას: დავით აღმაშენებლის ხსოვნის, **„ოქროვანი ხანის“** და **„ვეფხისტყაოსნის“...**

იქნებ, ილიას ეს ძველი იდეაც გავაცოცხლოთ და ამით ფართო საერთაშორისო ხასიათი მივცეთ „ვეფხისტყაოსნის“ და მისი ეპოქის საიუბილეო დღეებს მომდევნო უახლოეს წლებში...

„ახლა ჩვენ, ძველებმა კალამი უნდა დავდოთ...“

ილიას, რა თქმა უნდა, როგორც ნებისმიერ პიროვნებას ხასიათის პოზიტიურიც ბევრი რამ ჰქონდა და ნეგატიურიც. ამას თვითონაც გრძნობდა და არც მალავდა. ერთი სიტყვით, უნაკლო ამქვეყნად არავინაა და ქრისტეს ერთი შეგონებისა არ იყოს, იერუსალიმში ერთი ქალის ჩაქოლვისას რომ თქვა –

პირველი ქვა იმან ესროლოს, ვინც უცოდველიაო, აქაც, ვისაც თავი უნაკლოდ მიაჩნია, ის შემოგვედავოს ილიას **„უხეშობასა თუ სიჯიუტე–უხასიათობაზე“,** ხშირად რომ კონფლიქტებიც მოჰყოლიათ თან...

ოლღამ ყველაზე კარგად იცოდა ილიას ხასიათის ძლიერი და სუსტი მხარეები და ხშირად იმეორებდა – სასწორზე რომ დავდოთ, მილიონჯერ გადასძალავს ძლიერი სუსტსო... ერთ–ერთ ასეთ ძლიერ მხარედ ნიჭიერი კაცის ძიება მიაჩნდა, არ დაგიდევდა ასაკს, სქესს და ეროვნებას. ხშირად უყვარდა თქმა – მე რომ პეტერგბურგში ბანკის საქმეზე ლორის მელიქოვი მომეხმარა, ყველა იქაური ქართველი ერთად რომ ავიღოთ, იმდენს არ მომხმარებიანო – ამიტომ ეუბნებოდა გიორგი თუმანოვს – **„მე შენ სომხობით კი არ გწუნობ, კაცობითა – ჩვენთან კაკანებ და კვერცხს კი სხვაგან დებო“...**

ოლღა იმასაც იხსენებს, როგორი აღფრთოვანებით შეხვდა ილია ვაჟა–ფშაველას გამოჩენას სამწერლო ასპარეზზე. შემთხვევას არ უშვებდა ქების სიტყვები არ ეთქვა მასზე – ახლა ჩვენ ძველებმა კალამი უნდა დავდოთ და ვაჟას დავუთმოთ გზაო... დიახაც, რომ ესეც კაცის ძალიან იშვიათი და ამიტომ ხასიათის უძვირფასესი თვისებაა – ეძებოს და ჰპოვოს ირგვლივ თავის გარშემო ნიჭიერნი და **„დიდ–ბუნებოვანნი კაცნი“** ვინც არ უნდა იყვნენ ისინი. ერის და ქვეყნის, კაცის და კაცობრიობის სიძლიერეც ხომ ეს არის...

ილიას რაღაც ფანატიკური აზარტი ჰქონდა, როცა კი მის გონებას რაიმე ახალი იდეა დაეუფლებოდა. ღამე წამოდგებოდა, იხსენებს ოლღა, საწერ მაგიდას მიუჯდებოდა და დაათენდებოდა, სანამ თავის აზრს ბოლომდე ქაღალდზე არ გადაიტანდა. ასეთი აზარტით დაწერა 5 დღეში **„ოთარაანთ ქვრივი“...** პეტერბურგში წასვლამდე ასეთივე აზარტით მუშაობდა **„ავტონომიზაციის“** პროექტზეც – იხსენებს ისევ ოლღა, დაბრუნებისას კი ვარლამ ჩერქეზიშვილთან ერთად სოციალ–ფედერალისტთა პროგრამაზეც...

ბოლოთქმა

ილიასეული ქართული ხასიათის რამდენიმე **„გვირისტით“** გვინდა დავამთავროთ ჩვენი სათქმელი:

...

გაკვირვებულნი წერდნენ საქართველოდან მონღოლები თავიანთ ყაენს: **„რამდენი ქვეყანა მოვიარეთ, რა ჯიშის ხალხს არ შევხვდით, მაგრამ ამისთანა ხალხი არსად გვინახავს – ერთი მომწამვლელიც არ შეგვხვედრია მათში, თუ გიერთგულეს, სადაც გინდა გამოგვყვნენ ბრძოლაში არასოდეს არ გიღალატებენ,**

ბაღდადი მაგათ აგვაღებინეს“... (ალბათ, ამიტომაც დაუჯერეს და დაუფასეს ვაჟკაცური ქმედება ცოტნე დადიანს...).

...

„სა–„**უცხოო**“ – ესეც ქართულმა ენამ შვა ... ჩვენს ისტორიას არ ახსოვს, ვინმე დევნილი მოგვდგომოდეს კარს და ხელი გვეკრას... **„უძმოთა ძმა!“** – ასე დაფიქსირდა ქართული ხასიათის ეს „გვირისტი“ ებრაელთა მიმართ, არაერთი წერილი რომ უძღვნა ილიამ ამ ფენომენს აქ, ჩვენთან და იქ, შვეიცარიაში კი, დავით ბააზოვმა სიონისტთა კონგრესზე ასეთი „დაუჯერებელი“ განცხადებით რომ გააკვირვა მსმენელები: **„მე იმ ქვეყნიდან ვარ, სადაც ებრაელთა დევნას ადგილი არ ჰქონია არასოდეს და არც დღეს აქვს“...**

...

ეს ამბავიც ჩვენი მოგონილი არაა, იგი ნამდვილად მოხდა და შეგვიძლია ამაში ნებისმიერი დავარწმუნოთ:

ღმერთი გამოცდას ვის არ უწყობს ამქვეყნად, მთავარია ეს გამოცდა ღირსეულად ჩააბარო: ყვარლის მთებსა და გომბორს შორის, თითქმის ალაზნის ველის შუაგულში ათასწლოვანი დიდი ტოტებგაშლილი მუხა იდგა შრომისა თუ სიცხისაგან დამაშვრალთა თავშესაფარად. და აი, ამ 80 წლის წინ, ერთ ჭექა–ქუხილიან დღეს მეხი დაეცა მას და ნაცარტუტად აქცია ხანძარმა...

ყველამ ხელი ჩაიქნია და გამოიგლოვა იგი, გარდა ერთი კაცისა, რომელმაც სხვებთან შედარებით შორს გაიხედა – მის ფესვებს გონებით ჩაწვდა და გაითავისა: ნაცრადქცეულ ნამუხარს შემოუბარა – შემოღობა–დააწყლულა, მოვლა–პატრონობა არც მერე მოაკლო და დღეს იმ ადგილას მეხდაცემულზე არანაკლებ ახალგაზრდა მუხის ხე წამოიზარდა.

საქართველოც დღეს იმ მეხდაცემულ მუხას ჰგავს, მის ფესვებსაც წვდომა – გათავისება – განახლება და მოვლა–პატრონობა სჭირდებათ ჩვენგან...

სარჩევი

		გვ.
მკითხველს	–	3
„საერთო ნიადაგის“ თეორია:	–	5
არსი და ძირითადი პრინციპები	–	5
I ეროვნული იდეოლოგია	–	7
II ეროვნული ეკონომიკა	–	10
ეროვნული სახელმწიფო	–	15
ილია და რუსეთი	–	18
,,სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს!“	–	23
,,ბედნიერი მორიგება“...	–	25
,,დეე, იქვე გაითხაროს სამარე ...“	–	26
,,მაშ, რაისთვისღა ცოცხალ ვართ?!“	–	27
ორიოდე სიტყვა „ივერიის“ რუბრიკებზე	–	28
დავითის „ძალისხმევის“ და თამარის „სათნოების ხაზი“...	–	29
ილია და კავკასია	–	30
– თურაშაულის პატრონი...	–	31
„რა სცვლის, რა აახლებს, რას მიჰყავს წინ ცხოვრება!“...	–	32
ილია და ევროპა	–	32
– „მე სწორედ რომ კამეჩის ხასიათი მაქვს...“	–	33
„მე ილია უმდიდრესი კაცი მეგონა“...	–	34
„ეხლაც ომია, ხოლო სისხლისღვრისა კი არა...	–	36
„მე არ მეგონა თუ ილია ჭავჭავაძეს ამაზეც ამდენი ნაფიქრი ჰქონდა“...	–	37
ნოსტალგია – ქართული ხასიათის მრავალთაგან კიდევ ერთი „გვირისტი“	–	38
ილია, ნილს ბორი და მოჰამედ ჰათამი...	-	39
„ლხენა“ და „ლხინ“		
ჩვენი ეროვნული ხასიათის კიდევ ერთი „გვირისტი“	-	40
„ველს მშვენიერსა ჩასძინებოდა...“	–	41
საქმით მეტყველი მიწა	–	43
„ტიკჭორებით“ მაჩხაანიდან მოსკოვამდე...	–	44

ილია, ეკატერინე ჭავჭავაძე და ანდრია დადიანი – 45
„გაუფრთხილდით მიწას!“ – 46
„კიბუცი“, თუ „ხოდაბუნი“ – 47
უცხო თვალით დანახული „ქართული ხასიათის გვირისტი“... – 48
ქართული ხასიათის ილიასეული „გვირისტები“ – 50
„რას გადამარჩინე...“ – 50
ილია და „შეთქმა“ – 52
ქართული ხასიათის კიდევ ერთი „გვირისტი“ – 53
ილია და „ვეფხისტყაოსნის“ დათარიღების საკითხი – 54
„ახლა ჩვენ, ძველებმა კალამი უნდა დავდოთ...“ – 55
ბოლოთქმა – 56